# სარბიელი

სპორტული გაზეთი  სამშაბათი 15 თებერვალი 2005 №32 (2355)  ფასი 50 თეთრი


# ზესტაფონმა დინამოს სენსაცია აჭამა



## კვირკველიას და კანკავას ოსურ-ესპანური კონტრაქტები

4



## თავისუფლების მარგალიტი

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი 15 წლისაა

5



## მარილიანი კაცი წავიდა

კარლ მელოუნმა ქუდი დაიხურა

12





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონი. 14 თებერვალი. 13.30 საათი. ცენტრალური. 8 000 (ტევადობა 10 000)

## ზესტაფონი 1:0 დინამო (1:2)

1:0 იონანიძე (81)

**ზესტაფონი:** ქვაჩახია, იონანიძე, ჩიკვილაძე, ლ. ლონლაძე, ს. თოდუა, ზირაქიშვილი (ნუდნი 42), გუჩუა, ძამსაშვილი, განუგრავა (ბ. გოცირიძე 75), თურმანიძე, კ. ჩხეტიანი
*სათადარიგონი:* ბზიკაძე; ბესარაშვილი, ბ. ნოზაძე, სულაკაძე, გვარუციძე
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**დინამო:** ზოიძე, ორბელაძე (გ. ქელიძე 85), სილაგაძე, ჭიჭველიშვილი, რომერო, კანდელაკი, ნემსაძე (კაკალაძე 61), ბაბუნაშვილი (დვალი 85), ჯამარაული, დ. ოდიკაძე, მელქაძე
*სათადარიგონი:* მამალაძე; შაშიაშვილი, კაშია, სალუქვაძე
**მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

**გაფრთხილება:** განუგრავა (22), ზირაქიშვილი (27), ლონლაძე (54), კანდელაკი (73)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. ჯვარიძე; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხიჩაგაშვილი

## დავით ყიფიანის თასი

**მერვედფინალი. საპასუხო მატჩი**






გია გეგუჩაძის „დინამო" სეზონის პირველ გამოცდაზე თემურ მახარაძის „ზესტაფონმა" ჩაჭრა

# დინამო გაუთასურდა

**ოთარ მაღლაკელიძე**
ზესტაფონიდან

„კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჯოჯოხეთში" — აი, ასეთი პლაკატით დაუხვდნენ ზესტაფონელი გულშემატკივრები გუშინ თბილისის „დინამოს". დავით ყიფიანის სახელობის თასის ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონიდან გადმოტანილ საპასუხო მერვედფინალურ შეხვედრას იმერთქალაქში იმდენი მაყურებელი დაესწრო, ალბათ დანარჩენ შვიდ წყვილში ერთად ვერ მოგროვდებოდა. ზესტაფონში რომ ფეხბურთი ცოცხლდება, უკვე არახალია. ზამთრის არდადეგებზე გუნდი საგრძნობლად გაძლიერდა და „დინამოს" ერთბურთიანი უპირატესობის აღმოფხვრის იმედით სავსე ხალხმა ტრიბუნები თამაშის დაწყებამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე შეავსო. თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ 12 დეკემბერს თბილისში „დინამომ" 2:1 მოიგო, საპასუხო ზესტაფონური მატჩი კი დიდთოვლობამ ჩაშალა.

შეხვედრა დაგეგმილი დროის, ორის ნახევრის ნაცვლად ორზე დაიწყო. სწორედ ამდენი ხანი დასჭირდა სფფ-ის ინსპექტორის მოთხოვნის შესრულებას. გუნდები მოედანზე მანამდე არ შეუშვეს, სანამ ყველაზე აქტიურ ზესტაფონელ ქომაგებსა და მინდვრის დამცავ რკინის ბადეს შორის სამართალდამცავები არ ჩააყენეს. ამან ქომაგები კიდევ უფრო გააქტიურა და მთელი თამაში არ გაჩერებულან. სხვათა შორის, ეს ჯგუფი მაყურებელთა ერთი მცირე ნაწილი იყო, უმეტესობა კი ქართული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი სიმშვიდით უცქერდა თამაშს და მხოლოდ იმ მომენტებში ახმაურდებოდა, იმერლები მეტოქის კარს რომ მიუახლოვდებოდნენ.

ბოლოდროინდელმა ტრანსფერებმა თემურ მახარაძის შარშანდელი სასტარტო შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეცვალა და შეიძლება გულშემატკივრის პასიურობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ზესტაფონელთა გუშინდელ თერთმეტეულში რვა ახალწვეული მოხვდა: მეკარე ქვაჩახია, მცველები ჩიკვილაძე, ლონლაძე, თოდუა და გუჩუა, ნახევარმცველები განუგრავა და ჩხეტიანი, ფორვარდი იონანიძე. ახლების ნაკლებობას არც „დინამო" უჩიოდა — „თბილისიდან" გადაბირებული ორბელაძე და ოდიკაძე, ექსტორპედოელი ბაბუნაშვილი და უკრაინამოვლილი ჯამარაული გუშინ გეგუჩაძემ სასტარტოში დააყენა.

პირველი ტაიმი ისე ჩათამაშდა, არც ერთ მეკარეს ნახტომის გაკეთება არ დასჭირვებია. ბურთი ცენტრში გორაობდა, მეტწილად სტუმრების კარნახით, თუმც ერთადერთი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა 21-ე წუთზე შექმნეს — ზირაქიშვილმა მეტოქის საჯარიმოსთან ბოლომდე იბრძოლა, დაკარგული ბურთი დაიბრუნა და ის და იონანიძე ბოლო მცველის, სილაგაძის პირისპირ აღმოჩნდნენ. ზუსტი პასი და „იონას" ზოიძის გარდა ხელს აღარავინ უშლიდა, მაგრამ ზაზამ მცველის მოტყუება დააპირა, რაც არ გამოუვიდა.

ორი გამოკვეთილი ფორვარდით თამაში მახარაძემ 42-ე წუთზე დაასრულა — ზირაქიშვილის ნაცვლად მოედანზე მოლდოველი ლეგიონერი ნუდნი შეუშვა, რითაც თითქმის დაკარგული ცენტრის დაბრუნება სცადა. მეორე ტაიმის პირველივე წუთებიდან გამოჩნდა, რომ ჩანაფიქრმა გაამართლა. იმერლები ნახევარდაცვაშიც გაბატონდნენ და მეტოქის კარსაც მიუახლოვდნენ. თითქმის ყველა შეტევის წამომწყები ნუდნი იყო. თურმანიძე, განუგრავა და ჩხეტიანი გააქტიურდნენ და მაყურებელიც გამოცოცხლდა. 75-ე წუთზე ნუდნის წაქცევისთვის დანიშნულ ჯარიმას რეალური საგოლე მომენტი მოჰყვა. საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს იონანიძემ ძლიერი თავური დაუხვედრა, მაგრამ ზოიძემ ურთულესი დარტყმული ცხვირწინ მოიგერია, აურზაურში კი ყველას ორბელაძემ დაასწრო.

ამ მომენტით დაიწყო ის ხუთწუთიანი შტურმი, ანგარიშის გახსნით რომ დაგვირგვინდა, თუმც შუალედში „დინამოსაც" შეეძლო დაწინაურება. ზოიძის კარზე კბილებალესილ ზესტაფონელებს სტუმართა სწრაფი კონტრშეტევა გაეპარათ. ჯამარაულმა დაახლოებით 25 მეტრიდან მეკარისთვის თავზე გადაგდება სცადა, კარგადაც შეასრულა, მაგრამ ქვაჩახიამ ბურთს თითები მაინც წაჰკრა — ხარიხა. გადმოვარდნილს კი მახარაძის ბიჭები დაეუფლნენ და მორიგი შეტევა წამოიწყეს, რომელიც კუთხურით დასრულდა. თურმანიძის ჩაწოდებულს იონანიძე რატომღაც მარტო დაუხვდა და მცველების საჩუქარი შეირგო კიდეც — 1:0.

ჩვენდა გასაკვირად, „ზესტაფონი" დაცვაში არც დაწინაურების შემდეგ ჩამჯდარა და შედეგად ბოლო ათი წუთი ისე ჩამთავრდა, გეგუჩაძის გუნდს ხეირიანი შანსი არ მისცემია.

მოგებულებმა გულშემატკივრებისთვისაც მოიცალეს, ხოლო წაგებულები წუთში გაუჩინარდნენ.

## თქვენი ინტერვიუ

## შოთა არველაძესთან

**«რეინჯერსი» გლაზგო. შოტლანდია**

*რუბრიკის მეორე რესპონდენტ შოთა არველაძესთან კითხვები 25 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ და მასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მარტამდე გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ, მათ ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე უპასუხებს.*



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

## მეორე ეტაპი: წარდგენა წარმოდგენამდე

# გუნდი ათ დღეში
## აკობიას თასი და ევროპა უთხრეს



„ლოკომოტივის" ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი — ზვიად სტურუა

საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე გუნდზე თუ ითქმის, მოსამზადებელ ეტაპზე გეგმები აერიაო, პირველ ყოვლისა, თბილისის „ლოკომოტივზე".

მოგეხსენებათ, რკინიგზელებმა ამ ცოტა ხნის წინ მწვრთნელი დაკარგეს — ჯემალ ჩიმაკაძეს გულმა უმტყუნა და მისი ნაფიქრნაზრევიც შეუსრულებელი დარჩა. არადა, სწორედ ჯემალ ჩიმაკაძე ამზადებდა გუნდს ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის და დღევანდელი შემადგენლობაც, თავის ლეგიონერებიანად, თითქმის მისი შეკრებილია.

„ლოკომოტივში" ბევრი არ უფიქრიათ, გუნდი ნოდარ აკობიას ჩააბარეს, საკმაოდ გამოცდილ მწვრთნელს. მან თანაშემწედ კახა კაჭარავა მიიყვანა და საქმეც, ფაქტობრივად, თავიდან დაიწყო. მწვრთნელები ჩემპიონატისთვის 24 ფეხბურთელს ამზადებენ, თუმც ძირითად გუნდთან ერთად ჭაბუკიც ბევრია.

სათქმელია, რომ თბილისის „ლოკომოტივმა" ჩემპიონატის განახლების წინ გუნდის ძირითადი ბირთვის შენარჩუნება შეძლო. „ლოკომოტივი" სულ სამმა ფეხბურთელმა დატოვა. ლადო ბურდულმა ვლადიკავკაზის „ალანიას" მიაშურა, დავით ბაქრაძემ ბოლნისის „სიონს", ხოლო ზაზა მედოევმა აზერბაიჯანულ „ყაზახს". სამაგიეროდ, რკინიგზელებმა „ბათუმიდან" ნუკრი მანჩხავა და ზურაბ ექონია, „ტორპედოდან" ზვიად სტურუა და ბრაზილიიდან, სწორედ ჯემალ ჩიმაკაძის შერჩეული, ორი ფეხბურთელი მიიღეს. მნიშვნელოვანია, რომ ისევ „ლოკომოტივში" ითამაშებენ საქართველოს ნაკრების კანდიდატი ალეკო გოგობერიშვილი და ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი მიხეილ ბობოხიძე.

„ლოკომოტივმა" მეორე ეტაპისთვის მზადება თბილისში დაიწყო, მერე კი სამი დღით ბაქოს ესტუმრა და ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. აზერბაიჯანიდან დაბრუნებული გუნდი რამდენიმე დღით ისევ თბილისში გაჩერდა, მერე კი ორი კვირით ტრაპიზონში გაემგზავრა. თურქეთში რკინიგზელები ძირითადად ქვედალიგელ გუნდებს ეთამაშნენ, ჯემალ ჩიმაკაძე მთავარი ბირთვის შერჩევის პროცესში იყო, მაგრამ... რა გამოვიდა? ის, რომ ნოდარ აკობიამ გუნდი ჩემპიონატისთვის, ფაქტობრივად, ათ დღეში უნდა მოამზადოს და თუ კლუბის ხელმძღვანელობის ნათქვამს გავითვალისწინებთ, ახალ მწვრთნელს მიზნის მიღწევა ძალიან გაუჭირდება.

— „ლოკომოტივი" თასის ნახევარფინალშია და, რა თქმა უნდა, მეტ წარმატებაზე ანუ თასის მოპოვებაზეც ვფიქრობთ. ჩემპიონატში კი ერთ-ერთი ევროსაგზურიც დაგვაკმაყოფილებს. და რაც მთავარია, ჩვენ აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებთ, ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება ჭაბუკების გარეშე წარმოუდგენელია — ამბობს რკინიგზელთა გენერალური მენეჯერი ლევან ყიფიანი.

სადღეისოდ „ლოკომოტივი" მეოთხე ადგილზე კი არის, მაგრამ წინ კიდევ ნახევარი ჩემპიონატია. როგორც ვთქვით, მნიშვნელოვნად არც გუნდის შემადგენლობა შეიცვალა, მაგრამ დრო... აქვს კი ნოდარ აკობიას იმის დრო, რომ შეგირდები თავის გემოზე მოამზადოს და შედეგად ლევან ყიფიანის ნათქვამი მიიღოს?! ისე, აკობიას კარგი გუნდების კეთება კი შეუძლია და ვნახოთ...

***მეკარეები:*** *ზვიად სტურუა, დავით გვარამაძე;*

***მცველები:*** *მიხეილ მახვილაძე, ნუკრი მანჩხავა, გიორგი ონიანი, ზურაბ ექონია, ჭიჭიკო თუთბერიძე;*

***ნახევარმცველები:*** *დაჩი ფოფხაძე, ლაშა ქებაძე, თენგიზ სიჭინავა, როინ ონიანი, ლაშა კირვალიძე, გიორგი ალავერდაშვილი, გიორგი სეთურიძე, რამონ დე ანაია, ჟუან კარლოს ფრანსისკო დო ამარალი, ლევან სანიკიძე, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ლაშა ჩხაიძე, გიორგი მაკაროვი;*

***თავდამსხმელები:*** *ზურაბ ავალიანი, ირაკლი სირბილაძე, მიხეილ ბობოხიძე, გიორგი კახელიშვილი.*

**კობა ინასარიძე**




# აბა, ვნახოთ, რა ჯანი გაქვს



ძველი ძველი ახალი მწვრთნელი ჯანი კარნევალი



სერგო ჭურაძე სამწლიანი პაუზის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" დაუბრუნდა

საქართველოს მოქმედი ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია" პირველ ეტაპზე საჩემპიონო თამაშისგან ძალიან შორს იდგა. არ გვინდა, პოლონურ „ვისლასთან" კოშმარული 2:8 გავიხსენოთ, მაგრამ ამ ალიყურმა, ალბათ, საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზეც იქონია გავლენა. ამას მოჰყვა ვიტელთა მაშინდელი თავკაცის მერაბ კოჭლაშვილის ვლადიმერ ხაჩიძით შეცვლა, მერე ისევ კოჭლაშვილის დაბრუნება, მაგრამ მწვრთნელთა როქი გუნდის თამაშზე არ ასახულა.

ახლა კი „ვიტ ჯორჯიას" ისევ იტალიური თავი ადგას — „ისევ" იმიტომ, რომ ჯანი კარნევალი მესამედ ჩაუდგა ამ კლუბს სათავეში.

პირველ ეტაპის პერიპეტიები რომ გავიხსენოთ, ვეტერინარები დროდადრო გაიბრწყინებდნენ ხოლმე — დასტურად თუნდაც „თბილისთან" 2:0 მოგება კმარა, თუმც ბოლნისურ „სიონთან", „ზესტაფონთან", შინ „ტორპედოსთან" და „დინამოსთან" მარცხმა „ვიტ ჯორჯია" მეოთხე ადგილს ვერ ააცილა. სამაგიეროდ, გუნდი საქართველოს თასის ნახევარფინალშია და ვინ იცის, საევროპო გზაც აქედან გაიკვალოს.

ახლა სატრანსფერო მიდი-მოდიზეც: ზამთრის შესვენებაზე „ვიტ ჯორჯია" ლიდერმა გიორგი ადამიამ, კაპიტანმა ლაშა ნოზაძემ და მეკარე მირზა მერლანმა დატოვეს, თუმც შემდგომ ყველა ხაზი შეივსო. კლუბმა „ზესტაფონიდან" თავდამსხმელი დავით ჩილვინაძე გადაიბირა, „სიონიდან" გიორგი ფეიქრიშვილი დაიბრუნა, გორის „დილადან" კი ლუკა რაზმაძეს უხმო.

და სულ ბოლო ინფორმაციაც: ვეტერინართა გუნდში დაბრუნდა მეკარე სერგო ჭურაძე, რომელიც ბოლო სამი წელი ირანულ „საბა ბათერში" თამაშობდა. ჭურაძე თავის დროზე საქართველოში ერთ-ერთ უნიჭიერეს მეკარედ ითვლებოდა, ირანშიც არ აკლდა სათამაშო პრაქტიკა, თუმც მაინც მშობლიურ კლუბს მოაშურა. ყველა ამ ახალწვეულთან „ვიტ ჯორჯიამ" კონტრაქტი უკვე გააფორმა.

როგორც ვიტელთა გენერალურმა მდივანმა მალხაზ კაკაურიძემ გვაცნობა, შესაძლოა, კლუბი უახლოეს დღეებში ერთ-ერთმა ფეხბურთელმაც დატოვოს, თუმც იქვე დაამატა — სამეორეეტაპო განაცხადი უკვე გაკეთებული გვაქვს და ალბათ, აღარ შეიცვლება.

რაც შეეხება საშუასეზონო შეკრებას, „ვიტ ჯორჯიამ" ტრადიციულად ანთალიას მიაშურა, სადაც ოთხი ტესტ-მატჩიც გამართა: რუმინულ „უნივერსიტატიასთან" (1:1), მაკედონიურ „რაბოტნიჩკისთან" (1:3), გერმანულ „ულმთან" (2:0) და „კობლენცთან" (0:2).

რა თქმა უნდა, შედეგები უფერულია, თუმც კარნევალი ამაზე ნაკლებად ნაღვლობს — საკონტროლო თამაშები ხომ უფრო ექსპერიმენტულია, მით უმეტეს, როცა გუნდის შემადგენლობა გადასხვაფერებულია.

**ილია ნანოგაშვილი**

„ვიტ ჯორჯიას" სამეორეეტაპო განაცხადი კი ასეთია:

***მეკარეები:*** *1. სერგო ჭურაძე, 12. გრიგოლ ბედიაშვილი, 25. მიხეილ მუჯრიშვილი;*

***მცველები:*** *2. დავით იმედაშვილი, 3. დავით ლომაია, 4. თენგიზ კობიაშვილი, 16. აკაკი ქუხილავა, 17. გიორგი კვახაძე, 24. ალექსანდრე ინწკირველი, 27. დავით აბშილავა, 28. ლექსო კვახაძე;*

***ნახევარმცველები:*** *5. რადიონ ცხომარია, 6. გიორგი ფეიქრიშვილი, 7. ლუკა რაზმაძე, 13. ლაშა მანწკავა, 14. ირაკლი მალიჩავა, 15. ლევან კვარაცხელია, 18. დავით დიდმელაშვილი, 20. პაატა დათუნაიშვილი, 21. ოლეგ გველესიანი, 26. გიორგი დათუნაიშვილი;*

***თავდამსხმელები:*** *8. დავით ჩილვინაძე, 9. გიორგი ნათიძე, 10. ვლადიმერ გოჩაშვილი, 11. ზაზა სახოკია, 19. ერეკლე მერებაშვილი, 22. ოთარ მარცვალაძე, 23. ირაკლი ებანოიძე.*





„ვოლფსბურგთან“ მოგებამ ლევან კობიაშვილის „შალკე“ ცხრილის თავში მოაქცია



ლადო ახალაია სადებიუტო მატჩისას

# ბურთები ჩქარა!

## ქართველები მეტ-ნაკლებად პირველობენ

*ლევან კობიაშვილის „შალკე“ ბუნდესლიგის ცხრილის თავშია.* გელზენკირხენელებმა 3:0 დაამარცხეს „ვოლფსბურგი“ და ბილეფელდში წაგებულ „ბაიერნს“ ქულებით გაუთანაბრდნენ. კობიაშვილმა დისკვალიფიკაციის მერე პირველად ითამაშა „შალკეში“ და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო მოედანზე.

*უმნიშვნელოვანესი ორი ქულა დაკარგა „ფრაიბურგმა“.* არადა, მეორე ტაიმში *ლევან ცქიტიშვილს ალექსანდრე იაშვილის* წაქცევისთვის დანიშნული პენალტი რომ გაეტანა...

ჩვენებურს „ჰანოვერის“ მეკარემ აჯობა და მატჩიც 0:0 დასრულდა. ფრაიბურგელთა მესამე ქართველ *ოთარ ხიზანეიშვილს* არ უთამაშია.

*რამდენიმეტურიანი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა შოთა არველაძე.* „რეინჯერსის“ ქართველმა თავდამსხმელმა ტრავმა ბოლომდე მოირჩინა და „ჰიბერნიანთან“ მატჩში ბოლო 19 წუთი შეცვლაზე ითამაშა. „ჩაფრებმა“ 3:0 მოიგეს და მატჩნაკლულ „სელტიკს“ ბურთების უკეთესი სხვაობით გადაასწრეს.

*შვეიცარიულ „ციურიხში“ ქართული დებიუტი შედგა.* თასის მეოთხედფინალში „ციურიხმა“ 2:0 სძლია „ბელინცონას“, *ლადო ახალაია* კი 66-ე წუთზე ჩაერთო თამაშში. მოკლედ, ახალაიას იღბლიანი დებიუტი გამოუვიდა — მისი ახალი გუნდი ნახევარფინალშია.

*კვიპროსის ჩემპიონატში ორი ქართული გოლი გავიდა.* „ანართოსისმა“ 3:1 მოუგო აეკ-ს, გოლები კი *თემურ ქეცბაიამ* და *კლიმენტი წიტაიშვილმა* გაიტანეს. სამაგიეროდ, იღბალმა უმტყუნა ხანგრძლივი შესვენების მერე საქართველოს ნაკრებში დაბრუნებულ *გიორგი ქინქლაძეს*, რომელიც ისე დაშავდა, რომ მე-16 წუთზე შესაცვლელი შეიქნა. „ანართოსისი“ კი კვლავაც პირველ ადგილზეა, თუმც, ისიც ბურთების სხვაობით ჯობნის კონკურენტ აპოელ-ს.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | რეჯინა 1:0 | 90 | | 11 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნ[illegible]სლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ვოლფსბურგი 3:0 | 90 | | 20 | 3 | 2 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰანოვერი 0:0 | 89 | შეცვალეს | 20 | 2 | 17 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰანოვერი 0:0 | 90 | ვერ გაიტანა პენალტი | 15 | 1 | 17 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰანოვერი 0:0 | 0 | | 3 | 0 | 17 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ალენი 2:1 | 0 | | 13 | 2 | 8 |
| დავით სირაძე | ტრირი | ს | ფიურტი 3:3 | 90 | | 10 | 1 | 11 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | ჰიბერნიანი 3:0 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 4 | 1 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | ჰიბერნიანი 3:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 14 | 0 | 1 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ვალვაიკი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 9 |
| **შვეიცარია. თასის მეოთხედფინალი** | | | | | | | | |
| ლადო ახალაია | ციურიხი | ს | ბელინცონა 2:0 | 24 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | ს | ოლიმპიაკოსი 0:0 | 90 | | 16 | 0 | 4 |
| **თურქეთი. მეორე ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | კარაგუმრუქი 2:0 | 0 | | 6 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | აეკ 3:1 | 89 | 1 გოლი, შეცვალეს | 16 | 8 | 1 |
| გიორგი ქინქლაძე | ანართოსისი | შ | აეკ 3:1 | 16 | შეცვალეს | 14 | 2 | 1 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | შ | აეკ 3:1 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი | 17 | 5 | 1 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | აეკ 3:1 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 1 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | აპოლონი 1:4 | 90 | | 17 | 5 | 9 |
| გიორგი ქორიძე | ოლიმპიაკოსი | შ | სალამინა 1:3 | 90 | | 12 | 4 | 5 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ალანიამ წელი ქართულად მოიდგა

## კვირკველიას და კანკავას ოსურ-ესპანური კონტრაქტები



ბახვა თედეევი

დავით კვირკველია და ჯაბა კანკავა უკვე ვლადიკავკაზის „ალანიას“ ფეხბურთელები არიან. გუშინ დილით ორივე ქართველმა ნახევარმცველმა ოსურ კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. „ალანიაში“ ახლა ერთბაშად ხუთი ქართველია, ხუთივე ნახევარმცველი — ვიტალი დარასელია, ლევან გვაზავა, ლადო ბურდული, ჯაბა კანკავა და დავით კვირკველია.

— დიდი სურვილი მქონდა, რომ კვირკველიასა და კანკავას „ალანიაში“ ეთამაშათ, თუმც, მიზეზთა გამო, აქამდე მათი გადმობირება ვერ მოვახერხეთ. კვირკველიას სხვა გუნდებიც ეპატიჟებოდნენ, კანკავა კი „დინამოს“ არ ეთმობოდა. საბოლოოდ, ჩვენთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა და მიხარია, რომ „ალანიას“ კიდევ ორი ქართველი შეემატა — გვითხრა ვლადიკავკაზელთა მწვრთნელმა ბახვა თედეევმა, რომელსაც გუშინ მარბელაში დავუკავშირდით.



ჯაბა კანკავა

„ალანია“ რუსული პრემიერლიგისთვის ახლა სწორედ ესპანურ მარბელაში ემზადება და ქართველებთან კონტრაქტიც იქ გაფორმდა. კვირკველია გუნდს გუშინწინ შეუერთდა, კანკავამ კი ოსებს ორიოდ დღით ადრე ჩააკითხა. ჯაბასთან ერთად მარბელაში თბილისის "დინამოს" მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილიც იმყოფებოდა და „ალანიას“ ხელმძღვანელობა ტრანსფერის თაობაზე სწორედ მას შეუთანხმდა. რა თანხას მიიღებენ თბილისელები ამ ფეხბურთელების სანაცვლოდ ეს, როგორც ყოველთვის, გასაიდუმლოებულია და ასეთ შემთხვევაში კლუბში ამბობენ, ხოლმე, ეს კონფიდენციალური საკითხიაო. არის და იყოს.



დავით კვირკველია

მთავარი და სამწუხარო ისაა, რომ თბილისის „დინამომ“ ამ სამ კვირაში „ალანიაში“ უკვე მესამე ფეხბურთელი გაუშვა და რუსული ფეხბურთის მასშტაბით უსუსური ოსებისთვის ლამის ფარმ-კლუბად იქცა. შეგახსენებთ, კვირკველია-კანკავამდე „ალანიამ“ ლადო ბურდული დაისაკუთრა, ვინც „დინამოს“ ტრანსფერზე ჰყავდა დაყენებული და ოსებამდე თბილისის „ლოკომოტივში“ იყო განათხოვრებული.



ლადო ბურდული

მოკლედ, დღესდღეობით ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ხუთი ქართველია, რაც ნახევარ გუნდს ნიშნავს.

— დიახ, „ალანიას“ ხერხემალი ქართული იქნება. მათ შესაძლებლობებში დარწმუნებული ვარ და ვფიქრობ, გუნდის შუა ხაზი სწორედ ქართველი ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული. დღეს „ალანიაში“ ისეთი ფეხბურთელი არ არის, ვინც გუნდს არ გამოადგება. მით უმეტეს, ქართველი — ესეც ბახვა თედეევმა გვითხრა.



ვიტალი დარასელია

„ალანია“ მარბელაში კიდევ ერთ კვირას დარჩება, იქიდან კი ისევ სოჭში ჩავა და ჩემპიონატისთვის მზადებას იქ განაგრძობს. რაღა დაგვრჩენია, ვუქომაგოთ ალანიელ ქართველებს...



ლევან გვაზავა

**კობა ინასარიძე**



# თავისუფლების მარგალიტი



*დღეს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი თხუთმეტი წლისა შესრულდა. თუ მთლად მრგვალი არა, მომრგვალო თარიღი მაინც არის და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სულ სხვანაირ ქართულ ფეხბურთზე გვიოცნებია და ვოცნებობთ, ეს კარგად სახსენებელი დღეა.*

*აბა, სხვანაირად რომ მომხდარიყო, რა უნდა ყოფილიყო ქართული ფეხბურთი, „ალანია“, „ანჟი“ თუ რაღაც ამ კლუბთა მსგავსი?*

*ის ხმაურიანი დღე და ინტრიგა დღესაც ბევრს ახსოვს. ჭადრაკის სასახლეში სიმშვიდე არ იყო და გაიმარჯვა იმან, ვისაც გულით უნდოდა ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებლობა. გაიმარჯვა იმანაც, ვინც ხვალინდელი დღე განჭვრიტა და „ლუჟნიკების“ გარეშე წარმოიდგინა ქართული ფეხბურთი.*

*მოკლედ, რისკმაც გაიმარჯვა სურვილთან ერთად და ამ უამრავ უვარგისობაში, ქართულ ფეხბურთს რომ ემჩნევა, დღეს არის ერთი-ორი, მაგრამ ნამდვილი მარგალიტიც. ერთი — იშვიათი, მაგრამ მაინც გამარჯვებათა სხვანაირი, ნამდვილი გემოა. მეორე — მისი უდიდებულესობა დამოუკიდებლობა.*

*ზუსტად თხუთმეტი წლის წინ ასეთი ლოზუნგი იყო:*

*გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს!*

*გაუმარჯოს და... სიმაგრე და სინამდვილეც ვუსურვოთ. მარტო მარგალიტები ცოტაა. თხუთმეტი წელინადი გავიდა.*



# თუ ეგრე მბლოკავ...

## მოიესმა ბიტი ჯენტლმენურად დასაჯა

**„ევერტონის“** მენეჯერი დევიდ მოიესი თავისი გუნდის თავდამსხმელ ჯეიმს ბიტის დასჯის იმისთვის, რომ ამან „ჩელსისთან“ მატჩში კეფაში შუბლი განზრახ ჩაჰკრა უილიამ გალასს და წითელი ბარათი მიიღო.

შაბათს მოიესმა ბიტი დაიცვა, ვიდეო არ მინახავს და არა მგონია ძალით ჩაერტყას თავი, გალასი ზედმეტად გაკოტრიალდა მინდორზეო. ბიტის ადრიანმა გაძევებამ კი ძალიან იმოქმედა მატჩის იერზე, საბოლოოდ კი „ევერტონმა“ 0:1 წააგო.

მოიესმა კი ვიდეო გუშინ ნახა და აზრი იცვალა: „დიახ, ნამდვილად სწორი გაძევება იყო“. ბიტიმაც უკვე მოუბოდიშა ლონდონელს.

„საკვირველი ის არის — თქვა მოიესმა — რომ ბიტი არ არის ამგვარი ქცევების მოყვარე. აქამდე ის არასდროს გაუძევებიათ, მან მეც კი მომიბოდიშა. ჯეიმსი ჩვეულებრივ საკლუბო სასჯელს მიიღებს. ბიტი მებრძოლი მოთამაშეა, ამასთანავე ჯენტლმენიც და ძალიან



ვიდეოჩანაწერმა ჯეიმს ბიტის (№8) უხამსი საქციელი დაადასტურა

წუხს, რომ ასე დაემართა. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ გალასი ძალიან იოლად წაიქცა“.

თავად ბიტის კი მიაჩნია, რომ თუ თავი ეტკინა, გალასს უფრო დიდხანს უნდა ეკოტრიალა: „ჩვენ ბურთისკენ გავრბოდით. ის მბლოკავდა. უცბად ის გაჩერდა და მეც სხვა გზა არ იყო, უნდა დავჯახებოდი. ჰოდა, გამიელვა, თუ ეგრე მბლოკავ, მეც დაგეჯახები-მეთქი. თავით სულ ოდნავ შევეხე, რომ დამერტყა, ფეხზეც ვერც ადგებოდა“

**ირაკლი გამყრელიძე**

# ქორწილია, ქორწილი!

## რონალდომ ჩიკარელი ჩაიკრა



რონალდომ და დანიელა ჩიკარელმა სტუმრებთან ერთად შანტილის მდიდრულ სასახლეში მოილხინეს

**ვალენტინობა დღეს** შეყვარებული წყვილი თავისებურად აღნიშნავს, ასეა ევროპაშიც. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული ხერხი კი ის არის, რომ ქორწილს 14 თებერვალს ამთხვევენ და ბევრიც რომ არ გავაგრძელოთ, სწორედ ასე მოიქცა ცნობილი ბრაზილიელი რონალდო, რომელიც გუშინ კიდევ ერთხელ შეუღლდა.

28 წლის ლუის ნაზარიო დე ლიმამ თავის რჩეულს, ტოპ-მოდელ დანიელა ჩიკარელის დანაპირები აუსრულა და ქორწილი პარიზის სიახლოვეს, შანტილის მდიდრულ სასახლეში გადაიხადა. ცერემონიას 250 სტუმარი დაესწრო. აქედან 22 რონალდოს ნათესავი იყო, ხოლო 17 თანაგუნდელი. მათი ვინაობა ჯერჯერობით არ ხმაურდება, თუმც ცნობილია, რომ სტუმრებს შორის იყვნენ — დევიდ ბექემი, ზინედინ ზიდანი და რაული. „რეალის“ ფეხბურთელები პარიზში, „ოსასუნასთან“ მატჩის შემდეგ კოჭას თვითმფრინავით გაემგზავრნენ.

„მე და დანიელა ერთმანეთს დიდი ხანია ვხვდებოდით და რაც მთავარია, ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. ახლა კი გვინდოდა, ჩვენი სიხარული სხვებისთვისაც გაგვეზიარებინა და შეუღლებაც ამიტომ გადავწყვიტეთ“ — გაბადრული და ბედნიერი



გახლდათ ახალგამომცხვარი სიძე.

სტუმრებს ცნობილი ბრიტანული ჯგუფი FAT BOY SLIM-ი ახალისებდა მუსიკით და როგორც ამბობენ, მთლიანობაში, ეს პომპეზურობა 70 ათასი ევრო დაჯდა. ამ თანხის ნახევარზე მეტს რონალდო და ჩიკარელი ქორწილის სურათების მეშვეობით ამოიღებენ. ფოტოების ყიდვის ექსკლუზიური უფლება კი ესპანურ ჟურნალ „ოლას“ ებოძა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# სხვაგან სად არი პირლოს ბადალი

## გალიანიმ ანჩელოტის ტაქტიკა დაუწუნა





ადრიანო გალიანის თქმით, ანდრეა პირლოს დარი ფეხბურთელი დღეს „მილანს“ არ ჰყავს

**„მილანის“** ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ანდრეა პირლოს დაშავებას შეუფიქრიანებია. მისი აზრით, გუნდს ამ პოზიციაზე სხვა ფეხბურთელი უბრალოდ, არ ჰყავს, რამაც შესაძლოა „როსონერის“ სერიოზული პრობლემები შეუქმნას. თუმცა, კლუბის ექიმები ხელმძღვანელობას ამშვიდებენ, ტრავმა არც ისე საგანგაშოა, როგორც თავიდან გვეგონა და პირლო მალე დაბრუნდება მინდორზეო.

ადრიანო გალიანი: „იგი ისეთი ფეხბურთელია, რომელსაც ვერ შეცვლი. მე და გუნდის სკაუტებმა ანდრეას დარი მოთამაშე ვერსად ვიპოვეთ. არ ვამბობ, რომ პირლო საუკეთესოა მსოფლიოში ან „მილანში“. უბრალოდ, მისი ფუნქციების შემსრულებელს ვერ ვხედავ. ამიტომ სათამაშო სქემისა და სტილის შეცვლაზე ფიქრი მოგვიწევს. საბედნიეროდ, პირლო მალე დაგვიბრუნდება, მაგრამ უმისოდაც ხომ უნდა შევეძლოს ფონს გასვლა“.

არადა, რამდენიმე დღის წინ „მილანის“ თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ იხტიბარი არ გაიტეხა, მხოლოდ ერთი ფეხბურთელის ტრავმა გუნდს ვერაფერს დააკლებსო. თუმცა, გასულ უქმეებზე „რეჯინასთან“ იგივე ტაქტიკით მოთამაშე (4-3-1-2, სადაც საყრდენი მასიმო ამბროზინი იყო) „შავ-წითლები“ მაინცდამაინც კარგად ვერ გამოიყურებოდნენ — პირლოს არყოფნა აშკარად იგრძნობოდა, მილანელთა შეტევებს ფანტაზია და სიმწვავე აკლდა.

„ანჩელოტის არც [illegible] დიდი მწვრთნელია — დასძენს გალიანი — უბრალოდ, მინდა, საუკეთესო გამოსავალი ვიპოვოთ. ფაქტია, რომ ანდრეა პირლოს გარეშე ისეთ გუნდებთანაც კი გვიჭირს თამაში, როგორებიც „რეჯინა“ და „ლივორნო“ არიან. ვფიქრობ, ნახევარდაცვაში სერიოზული ცვლილებები და ტაქტიკის გადაწყობაა საჭირო“.

მილანელი მედიკოსები კი ირწმუნებიან, „კალიარისთან“ თუ არა, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩისთვის პირლოს მწყობრში ჩავაყენებთო.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ სასიხარულოდ საქმე „წითელი ეშმაკების“ ექიმებსაც აქვთ. კერძოდ, „მილანთან“ მატჩამდე ბოლომდე გამოჯანმრთელდება რუუდ ვან ნისტელროი. თავიდან ფიქრობდნენ, რომ ჰოლანდიელი მეგოლე ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ შეხვედრას გამოტოვებდა.

**გიორგი ქაქაბაძე**

# გულკეთილი კაცის მიზნები

## კაპელო ტოტის ლაპარაკს ასწავლის

**ფრანჩესკო ტოტი** „რომას“ პრეზიდენტს, ფრანკო სენსის შეხვედება და საბოლოოდ მხოლოდ ამის შემდეგ იტყვის, რას და როგორ გადაწყვეტს — „რომაში“ დარჩება თუ არა.

არახალია, იტალიის ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს თავის მშობლიურ გუნდში დარჩენა ძალიანაც კი სურს, მაგრამ აქვს მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

„ჩემი მიზანი და სურვილი „რომაში“ დარჩენაა — განუცხადა ვარსკვლავმა რომაულ „კორიერე დელო სპორტს“ — და, როდესაც შესაფერისი დრო მოვა, კლუბის ხელმძღვანელებს მათ გეგმებზე დაველაპარაკები“.

შეგახსენებთ, რომ ფრანჩესკო ტოტის კონტრაქტს „რომასთან“ 2006 წელს გაუდის ვადა.

„მე სენსების ოჯახს დიდ პატივს ვცემ და მინდა მათ უშუალოდ დაველაპარაკო —განაგრძობს კაპიტანი — იმედი მაქვს, მათგან მივიღებ ინფორმაციას ტექნიკური პროექტის შესახებ, მაინტერესებს დირექტორატისა და ფეხბურთელების ამბავიც. როდესაც ფეხბურთელებზე ვლაპარაკობ, მათი კონკურენტუნარიანობის ამბავს ვკითხულობ. გუნდი ხაზგასმით ბრძოლისუნარიანი უნდა იყოს“.

ეს ნათქვამი სხვა სიტყვებით გამოხატავს ადრინდელ აზრს — ტოტის მრავალჯერ რომ განუცხადებია, იგი „რომაში“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩება, თუ გუნდი უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს.

„თუ წამყვან ფეხბურთელებს შევინარჩუნებთ, ვფიქრობ, ძველებურად გამარჯვების გზებზე დავდგებით. ამასთანავე, უნდა დავიტოვოთ ნიჭიერი ახალგაზრდები და ერთი-ორი უმაღლესი კლასის მოთამაშეც დავიმატოთ. ჩემი მიზანი მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვებაა, მაგრამ საამისოდ აუცილებელია „რომამ“ შექმნას ისეთი სტრუქტურა, რომელსაც ვენდობი“.

„რომა“ კი, მოგეხსენებათ, ისევ ფინანსური პრობლემების მოგვარებაზე ფიქრობს და სწორედ საამისოდ გაჰყიდა გასულ ზაფხულს ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონი და არგენტინელი მცველი ვალტერ სამუელი.

და ბოლოს დავძინოთ, რომ ფრანჩესკო ტოტი ყოველ ცისმარე დღეს აკრიკიტებს „რომას“ ყოფილ მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს, რომელიც გასულ ზაფხულს იტალიის დედაქალაქიდან ტურინის „იუვენტუსში“ გადავიდა. ჟურნალისტები, ბუნებრივია, კაპელოს ტოტის ყოველი ნათქვამის კომენტირებას სთხოვენ და საქვეყნოდ ცნობილი ტაქტიკოსიც ყოველთვის საპასუხო „კრულვას“ უგზავნის ყოფილ შეგირდს, მაგრამ ბოლო კომენტარი ყველასთვის გასაოცრად ასეთი ჰქონდა:

„ფრანჩესკო დიდი ფეხბურთელი და გულკეთილი ადამიანია, მაგრამ ხანდახან ზედმეტს ლაპარაკობს“.

**ბაკურა ძიდია**



ფრანჩესკო ტოტი „რომადან“ წასვლას ჯერ არ აპირებს





ფაბიო კაპელოს ახალ სქემაში ალესანდრო დელ პიერო ჩაჯდა

# ტაქტიკოსის აზრები

## მილანი მაგარია, მაგრამ...

**რამდენიმე დღის** წინ „სკუადრა აძურას“ მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ „რომას“ ახალგაზრდა ფორვარდი ანტონიო კასანო შეაქო, იგი გენიოსი და ჩემი ერთ-ერთი მთავარი იმედიაო.

ახლა კი დედაქალაქელთა ხულიგან თავდამსხმელს ხოტბა მისმა ყოფილმა დამრიგებელმა, ფაბიო კაპელომაც შეასხა, რამაც პრესაში კიდევ უფრო გაამძაფრა მითქმა-მოთქმა, კასანო მომავალ ზაფხულს „იუვენტუსის“ ფორმას მოირგებსო.

„იგი ამჟამად იტალიის ყველაზე პერსპექტიული მოთამაშეა. ანტონიო ძალიან ნიჭიერია და იღბალმა თუ ზურგი არ აქცია, წინ დიდი მომავალი ელის. თუმცა, ამისთვის თავდაუზოგავად უნდა ივარჯიშოს. ვფიქრობ, „სკუადრა აძურას“ წარმატებები მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული კასანოზე“ — განაცხადა კაპელომ.

დონ ფაბიოს კომენტარი „უდინეზესთან“, გუშინწინდელ მატჩზეც ჰკითხეს. როგორც იცით, ტაქტიკოსმა „იუვე“ ახალი, 3-4-3 სქემით ათამაშა, რამაც დიდი ინტერესი და აჟიოტაჟი გამოიწვია.

„ამაში განსაკუთრებული არაფერია. უბრალოდ, მოედანზე სამი თავდამსხმელი მჭირდებოდა. სინამდვილეში ეს პირადად ჩემთვის არ არის ახალი ტაქტიკა, რადგანაც „მილანში“ და „რეალში“ უკვე გამოცდილი მქონდა ამგვარი სისტემა. ვფიქრობ, რომ ამჟამად „იუვენტუსისთვის“ უფრო მისაღები და სასურველი 4-4-2-ია, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში სრულიად განსხვავებული ტაქტიკითაც შეგვიძლია კარგად თამაში“ — დასძინა კაპელომ.

ტურინელთა თავკაცმა ალესანდრო დელ პიეროზეც თქვა: „ალექსი კარგად გამოიყურებოდა, იგი ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა ჩემს დავალებებს. მთავარია, დელ პიერომ კვლავ იპოვოს თავისი თამაში და სასურველ ფორმაში ჩადგეს. ჩვენ ერთიანი და მობილიზებული გუნდი გვყავს და ყველანი ამ საერთო მექანიზმის რიგითი წევრები ვართ“.

ბოლოს კი ტაქტიკოსი ორი სიტყვით „იუვეს“ მთავარ კონკურენტ „მილანსაც“ შეეხო: „მათ ძალიან ძლიერი და მიზანდასახული გუნდი ჰყავთ. ამიტომ, არა მგონია, რაიმე დროზე ადრე გადაწყდეს. სკუდეტოსათვის ბრძოლა სერია A-ს ბოლო ტურებამდე გაგრძელდება. „მილანი“ ნამდვილად ძლიერია და უმაღლესი კლასის მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ თუ ჩვენ არ მოვდუნდით დ არჩეულ გზას მივყევით, პირველი ადგილი აუცილებლად „იუვენტუსის“ იქნება.

**გიორგი ქაქაბაძე**

# იუჰანსონი გადადგა



**შვედური** აიკ-ი ხელმძღვანელობის გარეშე დარჩა. გასულ კვირას სტოკჰოლმში გამართული შეხვედრის შემდეგ კლუბის ერთბაშად 9 მაღალჩინოსანმა გადაწყვიტა, პოსტები დაეტოვებინათ. მათ შორის იყო აქამდე აიკ-ის მმართველი, უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი.

„ჩვენი გადაწყვეტილება რამდენიმე მიზეზმა განაპირობა. მთავარია, რომ ამ მოკლე დროში ვერც გუნდის სპორტული მდგომარეობა გავაუმჯობესეთ და ვერც ფინანსური. ამიტომ პოსტის დატოვების გარდა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ. კლუბის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებზე მთლიანად ვიღებთ პასუხისმგებლობას და აიკ-ს წარმატებებს ვუსურვებთ" — დასძინა იუჰანსონმა.

შეგახსენებთ, რომ სტოკჰოლმის აიკ-ი შვედეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია, მაგრამ ამჟამად ფინანსურ კრიზისშია და ეროვნული ჩემპიონატიც 1998 წლის მერე არ მოუგია. იუჰანსონსა და მის თანამოაზრეებს გუნდი სწორედ მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით ჩააბარეს, მაგრამ ამან არ გაამართლა.

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა ისიც აღნიშნა, თავის დროზე ამ შემოთავაზებას არ უნდა დავთანხმებულიყავიო.

**გიორგი ძაძამიძე**

# გასაბერი ამბავი
## პამპლონაში რეალს ქალი ესროლეს

**მადრიდის** „რეალმა", როგორც იქნა, ნავსი გატეხა და პამპლონური „ელ სადარიდან" სამი ქულა წაიღო.

იქაური „ოსასუნა" ვერაფერიშვილი გუნდია, მაგრამ ბოლო სამ სეზონში „სამეფო კლუბის" ვარსკვლავთკრებულს შინაური სარბიელიდან ოდენ ქულა გაატანა. სტატისტიკურ დავთრებშიც თუ ჩავიხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ მადრიდელებს 18 პამპლონური მატჩიდან ოდენ ხუთში გაუმარჯვიათ, გუშინწინ კი ვანდერლეი ლუშემბურგოს გუნდმა „ელ სადარიზე" ზედიზედ მეექვსე მოგება გაიფორმა და წინა დღით „სარაგოსასთან" ნახეირებ „ბარსელონას" 7 ქულით დაწინაურების საშუალება არ მისცა.

პამპლონაში რომ „რეალი" არ უყვართ, შაბათის „სარბიელშიც" გაცნობეთ, მადრიდელთა ნავარაში თითქმის არც ერთ სტუმრობას უინციდენტოდ არ ჩაუვლია. გამონაკლისი არც საკვირაო მატჩი იყო, თუმც, მოდით, ვიდრე კვირას მომხდარზე ვიტყოდეთ, მანამდე წარსულში ვიმოგზაუროთ.

ყველაფერი 1988 წელს დაიწყო: ლეო ბეენჰაკერის გაწვრთნილ „რეალს" „ელ სადარის" ტრიბუნები ასეთი ტრანსპარანტებით დახვდა: „ჩამოვახრჩოთ ბუიო!" „ბუიო ნაძირალა და ჯამბაზია!"

რას ერჩოდნენ პამპლონელები მადრიდელთა მეკარე ფრანსისკო ბუიოს, ამაზე ვერაფერს გეტყვით, იმას კი მოგახსენებთ, რომ 47-ე წუთზე, როცა „ოსასუნა" სტუმარს 1:0 უგებდა, მსაჯმა თამაში შეწყვიტა. მიზეზი სწორედ პაკო ბუიო იყო, უფრო სწორად კი, ტრიბუნიდან მისი მისამართით ნასროლი და თავში გარტყმული საგანი. შეხვედრა მოგვიანებით სარაგოსაში გაიმართა და 88-ე წუთზე მექსიკელი უგო სანჩესის გოლის მერე, ფრედ, 1:1 დასრულდა. შევნიშნოთ, რომ არც ამ გადადებულ თამაშს ჩაუვლია მშვიდად — მატჩის ბოლო წუთზე მსაჯმა „რეალის" კარში პენალტი არ დანიშნა და ცეცხლზე ნავთი ამანაც დაასხა — „ოსასუნას" და „რეალის" ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა.

2001-02 წლების სეზონში პამპლონელებმა 3:1 მოუგეს „რეალს". ფეხბურთელებმა უმოწყალოდ ურტყეს ერთმანეთს ფეხებში, ამ საქმეში განსაკუთრებით ივან ელგერა გამოირჩა, მადრიდელმა მცველმა ისე მოინდომა, რომ მსაჯმა პირველი ტაიმის ჩამთავრებაც არ აცალა — წითელი ბარათი აუფრიალა.

მომდევნო წელს კვლავ „ოსასუნამ" გაიმარჯვა — 1:0. ამჯერად მოედნის ნაადრევად დატოვება ლუიშ ფიგუს მოუხდა. კაცნაკლულმა „რეალმა" 93-ე წუთზე მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მსაჯმა ფერნანდო მორიენტესის გოლი არ ჩათვალა.

შარშან პამპლონელებმა უკვე დევიდ ბექემისთვის მოიცალეს. კუთხურების შესრულებისას ინგლისელს ტრიბუნიდან ნაირგვარ საგნებს ესროდნენ. გაავებულ ქომაგებს არც ბექემი დარჩენია ვალში — ხურდა გინებით დაუბრუნა, მატჩი კი 1:1 დასრულდა.

კვირას კი... შეხვედრის არბიტრი ლუის მედინა კანტალეხო საფინალო ჩასტვენისთვის ემზადებოდა, როცა ტრიბუნიდან „გასაბერი ქალი" ისროლეს. დაბნეულმა მსაჯმა მატჩი რამდენიმე წუთით შეწყვიტა. თუმც, „ოსასუნას" ამჯერად რეზინის ქალბატონმაც ვერ უშველა — „რეალმა" ნავსი გატეხა, პამპლონაში 2:1 იმარჯვა.

**სოსო ძოწორეიშვილი**




„რეალმა" პამპლონაში ივან ელგერასა და მაიკლ ოუენის გოლებით მოიგო




**ინგლისური** „არსენალის" თავდამსხმელ ტიერი ანრის კარიერის ბოლომდე ლონდონურ გუნდში დარჩენა სურს. „მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, დაუფიქრებლად გავაფორმებდი ახალ ხანგრძლივ კონტრაქტს და საერთოდ არ წავიდოდი აქედან. თუმცა, ყველასათვის ცნობილია, ასეთი საკითხები როგორაც წყდება. თუ გოლების გატანას მოვუკლებ, ალბათ რომელიმე ახალგაზრდა მოთამაშე გამოჩნდება და ძირითადი შემადგენლობიდან ამომაგდებს" — დასძინა 29 წლის ანრიმ.

**მაკედონიის** ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. გასულ კვირაში ანდორასთან ნათამაშევი უგოლო ფრის შემდეგ დრაგან კანატლაროვსკიმ პოსტის დატოვება გადაწყვიტა. 44 წლის სპეციალისტი მაკედონიელებს 2004 წლიდან ხელმძღვანელობდა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია თანახმაა, კანატლაროვსკისთან კონტრაქტი გაწყვიტოს და უკვე ახალ თავკაცს ეძებს.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედი" კრისტიანო რონალდოსთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. როგორც ამბობენ, ახალგაზრდა პორტუგალიელი ხელფასის გაზრდასაც ითხოვს. „მოლაპარაკება მიმდინარეობს და იმედია, ორივე მხარისთვის მისაღები შედეგით დასრულდება. აქ ყველაფერი მაკმაყოფილებს და თანახმა ვარ, კარიერაც „ოლდ ტრეფორდზე" დავამთავრო. თუმც, წინასწარ არავინ იცის, რა იქნება მომავალში" — განაცხადა რონალდომ.

**რუმინეთის** ნაკრებისა და ბუქარესტის „რაპიდის" ფორვარდ მარიუს ნიკულაეს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. ექიმების თქმით, ნიკულაე მარტში ჰოლანდიისა და მაკედონიის ნაკრებებთან შეხვედრებს გამოტოვებს. მას კოჭი აწუხებს და ეგებ ოპერაციის გაკეთება დასჭირდეს.

**ესპანური** „ატლეტიკო" „ესპანიოლის" ახალგაზრდა ვარსკვლავ ოსკარ სერანოს ხელში ჩაგდებას ცდილობს. კატალონიელებმა იგი გასულ წელს სეგუნდადივიზიონელ „ფიგეირესში" იპოვეს და ცოტა ხნის წინ მასთან ახალი კონტრაქტიც გააფორმეს. მიუხედავად ამისა, მადრიდელები დაჟინებით ცდილობენ სერანოს გადაბირებას და „ესპანიოლთან" მოლაპარაკების დაწყებასაც გეგმავენ.

**უკრაინულმა** „შახტარმა" კიდევ ერთი ბრაზილიელი დაიმატა. დონეცკელებმა „ატლეტიკო პარანენსესა" და ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ფერნანდინიო შეიძინეს, ტრანსფერი ოფიციალურად 22 თებერვალს გაფორმდება. ფერნანდინიო ჯერ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ხუთწლიან კონტრაქტს მერე მოაწერს ხელს. შემდეგ იგი ბრაზილიაში დაბრუნდება და „შახტარს" ზაფხულში დაუბრუნდება. „ატლეტიკო პარანენსე" მის ტრანსფერში 8 მილიონ ევროს მიიღებს.

**ინგლისური** „ჩელსის" ნახევარმცველის, სკოტ პარკერის რეაბილიტაცია ბევრად უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე თავიდან ელოდნენ. შეგახსენებთ, რომ 19 წლის ფეხბურთელმა გასული წლის დეკემბერში ფეხი მოიტეხა და წესით, აპრილამდე არ უნდა ეთამაშა. თუმცა, ლონდონელთა ექიმების თქმით, შესაძლოა, პარკერი მინდორს თებერვლის მიწურულს დაუბრუნდეს.

**ესპანური** „ბარსელონას" ხელმძღვანელობამ საბოლოოდ გადაწყვიტა — ხუან რომან რიკელმე და ხავიერ სავიოლა გუნდში აღარ დააბრუნოს. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელი ფეხბურთელები „ვილიარეალსა" და „მონაკოში" წლეულს ჩინებულად თამაშობენ, „ბარსაში" მათი ადგილი არ არის. ამაზე კატალონიელთა მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი და სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი შეთანხმდნენ. ეს აზრი გაიზიარა კლუბის პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამაც. ასე რომ, სავიოლასა და რიკელმეს მომავალ ზაფხულს გაასხვისებენ.

**ინგლისური** „არსენალი" ალვარო რეკობას შეძენაზე ფიქრობს. ლონდონელებს ურუგვაელი ნახევარმცველი ხოსე ანტონიო რეიესის შემცვლელად ესახებათ. ახალგაზრდა ესპანელმა „მეთოფეთა" იმედები ბოლომდე ვერ გაამართლა, თანაც დიდი შანსია, მომავალ ზაფხულს იგი „რეალში" გადაბარგდეს. აღსანიშნავია, რომ „ინტერის" ფეხბურთელით „ატლეტიკო" „ბარსელონა" და „სევილიაც" არიან დაინტერესებულნი.

**უკრაინული** „დინამო" ბრაზილიელ მცველს როდრიგოს ყიდულობს. მხარეები უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ და მალე ტრანსფერსაც გააფორმებენ. კიეველები როდრიგოში 4 მილიონ დოლარს იხდიან, თანხის 20 პროცენტს თავად ფეხბურთელი მიიღებს, ხოლო დანარჩენს მისი კლუბი „სან პაულუ". საინტერესოა, რომ სეზონის დასაწყისში როდრიგოს შეძენა მეორე უკრაინულ კლუბს, „შახტარსაც" სურდა, მაგრამ მაშინც მოლაპარაკება ჩაიშალა.

**ჰოლანდიის** ნაკრებისა და მილანის „ინტერის" ნახევარმცველი ედგარ დავიდსი შესაძლოა, „ჩელსიში" აღმოჩნდეს. „ნერაძურის" ხუან სებასტიან ვერონის შენარჩუნება უნდა და არგენტინელის სანაცვლოდ ლონდრნელებს „პიტბულს" სთავაზობს. ამ შემთხვევაში კი საბოლოო სიტყვა ჟოზე მაურინიუზე იქნება, რადგანაც „ჩელსიში" დავიდსის პოზიციაზე სამი ფეხბურთელია — სკოტ პარკერი, ალექსეი სმერტინი და ირჟი იაროშიკი.

**ინგლისური** „ტოტენჰემი" მცველ ლედლი კინგთან აპირებს კონტრაქტის გახანგრძლივებას, წინააღმდეგი არც თავად ფეხბურთელია. სავარაუდოდ, ყველაფერი მალე მოგვარდება.

სამხრეთული სამშაბათი

ლადო ხომერიკი

# ამდენი სიყვარული აუტანელია

## მარადონამ მეზობლები შეაწუხა



**არგენტინული** და მსოფლიო ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა დიეგო მარადონა ახლა კოლუმბიაშია. დიეგო იქ მეგობართან, ანხელა მარია კინტეროსთან ერთადაა.

როგორც კოლუმბიური პრესა გვამცნობს, იქაური ინჩასობა კინტეროს რეზიდენციას ბრბოდ მიაწყდა, რათა მითიურ ფეხბურთელს სურათი გადაუღონ, ან შედარებით იღბლიანებმა მარადონას ავტოგრაფი სთხოვონ.

და მოხდა სასწაული — ფანების დაჟინებულმა თხოვნამ და ანხელ მარიას ჭკვიანურმა რჩევებმა არგენტინელმა მეგავარსკვლავმა ხალხი უყურადღებოდ არ დატოვა — დიეგო აივანზე გამოვიდა და აღტყინებულ გულშემატკივრებს ჰაეროვანი კოცნა უსახსოვრა.

„დიეგო კოლუმბიაში ორი კვირით დარჩება. იგი აქ მხოლოდ დასასვენებლადაა და არა სამკურნალოდ. ასე რომ, მარადონა არავითარ სამედიცინო კონტროლს არ გაივლის" — დაბეჯითებით აცხადებს სენიორა კინტერო.

მისივე თქმით, მარადონამ სახლის გარშემო ჯგროდ შეკრებილი ხალხი კი ასიამოვნა, მაგრამ მეზობლებს ვერაფრით გაუხარა გული. „ცხადია, სასიამოვნოა, მარადონა ჩვენს ახლო-მახლო რომ სტუმრობს, თუმცა ფანატების ღრიალი და დაცვის გადამეტებული სიფხიზლე ჩვენთვის სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდება. მგონი, უფრო კარგი იქნება, დიეგო მარტო რომ ისვენებდეს" — აღიარა მავანმა მეზობელმა, რომელმაც ჟურნალისტებთან თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა.



# მეგოლე ტერორისტი

**„რასინგთან"** შეხვედრის წინ მეუღლე და შვილები ისე ძალიან მომენატრა, რომ გავიფიქრე, თვითმფრინავს გავიტაცებ და პარაგვაიში დავბრუნდები-მეთქი. ახლა ეს სასაცილოდ მეჩვენება, იმ მომენტში კი სულ არ მაინტერესებდა, „არგენტინოს ხუნიორსში" სადებიუტო მატჩში გოლს გავიტანდი, თუ არა. მოკლედ, ოჯახის სიყვარულის გამო რამდენიმე ხნით ფიქრებში საჰაერო ტერორისტიც ვიყავი" — გულიანად ხარხარებს **გუსტავო მორინიგო**, „არგენტინოს ხუნიორსის" პარაგვაელი ნახევარმცველი.

28 წლის მორინიგო სამშობლოში „ბუკარამანგას", „გუარანისა" და „ლიბერტადის" ღირსებას იცავდა და პარაგვაის ნაკრებში 2002 წლის კორეა-იაპონიის მუნდიალზეც გახლდათ.

უქმეებზე მორიგი არგენტინული კლაუსურა დაიწყო და პირველივე, სადებიუტო მატჩში „რასინგთან", ბურთთან პირველივე შეხებისას გაიტანა. იმ შეხვედრაში ანგარიში აღარ შეცვლილა.

იღბლიან მორინიგოს ნამატჩევს „კლარინის" ჟურნალისტი გაესაუბრა...

**— ვინმეს რომ ეთქვა, სადებიუტო მატჩში ბურთის პირველი შეხებისთანავე გაიტანდითო, დაიჯერებდით?**

— ვერანაირად, თუმც მატჩის წინ კარგი წინათგრძნობა კი მქონდა. შექმნილი მომენტით ვისარგებლე, ეს არის და ეს.

**— მიუხედავად ნახევარმცველობისა, შეიძლება მეგოლედ ჩაგთვალოთ? დასაწყისი ჩინებული გაქვთ...**

— საგოლე შანსი თუ მომეცა, რასაკვირველია, გატანას ვეცდები.



# საიქიოდან მობრუნებული

## მორწმუნე მონტოია მადლობად დაიღვარა

**კოლუმბიური** „ონსე კალდასის" ყოფილი მწვრთნელი, ლუის ფერნანდო მონტოია მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მედიას გუშინ პირველად გაესაუბრა.

გასული წლის დეკემბერში მონტოია მძარცველთა თავდასხმის მსხვერპლი გახდა და უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი სპეციალისტიც ექიმებმა სიკვდილს ძლივს გამოგლიჯეს.

„ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მინდა ყველა იმ ადამიანს, ვინც ჩემს გადასარჩენად არაფერი დაიშურა, უდიდესი მადლობა გადავუხადო. მთავარია, რომ ღმერთი ისევ ჩემთანაა. სწორედ რწმენა მასულდგმულებს და მომავლის იმედს მაძლევს" — აცხადებს ლამის საიქიოდან მობრუნებული მონტოია იქაურ „პატრია დე მანისალესთან" ინტერვიუში.

მწვრთნელი არც ყოფილ შეგირდებს ივიწყებს: „ბიჭებს უთხარით, რომ მონტოია გულით ისევ მათთანაა და კოპა ლიბერტადორესის მოგებაზე ოცნებობს. „ონსე კალდასს" მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებ, ძალიან მინდა მალე ისევ ამ გუნდს დავუბრუნდე".

# პოლიციელის ხელკეტი

## რობინიომ ტევესი დაჩაგრა

**კვირას** „კორინთიანსმა" შტატის ჩემპიონატის მორიგ ტურში „სანტოსთან" სტუმრად 0:3 წააგო.

მერე რაო, იტყვით ალბათ. რა და ამ შიდაბრაზილიურ ამბავს თურმე, სხვა დატვირთვაც ჰქონია. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იქაური სპორტული მედიისთვის „სანტოსის" „კორინთიანსთან" მოგება, არც მეტი, არც ნაკლები, არგენტინულ ფეხბურთზე გამარჯვებასაც ნიშნავს.

საქმე ისაა, რომ სანტოსელმა რობინიომ მეტოქის არგენტინელი ვარსკვლავი კარლოს ტევესი პირწმინდად დაჩაგრა და მის „კორინთიანსს" ორი გოლი შეუგდო.

ხსენებულ ჯახში ანგარიში ლეომ რობინიოს შესანიშნავი პასით უკვე მერვე წუთზევე გახსნა. შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე სანტოსელებმა როლები გაცვალეს — ახლა რობინიომ გაიტანა ლეოს პასით, რასაც მომავალმა რეალელმა 55-ე წუთზე მესამეც მიაყოლა.

მატჩის მიწურულს საყვარელი გუნდის განადგურებით გაცოფებულმა უცნობმა ქომაგმა იქვე უყურადღებო პოლიციელს ხელკეტი წაართვა და „სანტოსის" მეკარე მაუროს ესროლა. საბედნიეროდ, გოლკიპერი მძიმედ არ დაშავებულა.

და ტევესი? მას — ზემოთაც გითხარით — უბრალოდ, მომენტიც არ შეუქმნია.



## ჩილე

### აპერტურა. V ტური

რეინჯერსი — მელიპილია 1:1; უნიონ ესპანიოლა — ევერტონი 2:2; კობრელოა — ტემუკო 5:4; პუერტო მონტი — უნივერსიდად დე ჩილე 0:1; უნიონ სან ფელიპე — ლა სერენა 0:0; სანტიაგო უონდერერსი — კობრესალი 1:3; კოკიმბო — აუდაქს იტალიანო 1:0; კოლო კოლო — უნივერსიდად დე კონსეპსიონი 0:1; პალესტინო — უაჩიპატო 2:3; დეპორტეს კონსეპსიონი — უნივერსიდად კათოლიკა 1:0

## არგენტინა

### კლაუსურა
### I ტური

კოლონი — რივერ პლეიტი 2:3; ბოკა ხუნიორსი — ლანუსი 2:2; ინდეპენდიენტე — კილმესი 0:0; როსარიო — არსენალი 2:1; ურაკანი — ესტუდიანტესი 0:1; ველესი — ოლდ ბოიზი 0:0; ხიმნასია — ალმაგრო 2:1; ოლიმპო — სან ლორენსო 3:0; არგენტინოს ხუნიორსი — რასინგი 1:0. ბანფილდი — ინსტიტუტო *0:0-ზე ჩაიშალა*

**ლუის მენოტის** მკითხველისთვის წარდგენა არ სჭირდება. მეტიც, ვინმესთვის მისი შეხსენებაც არ არის საჭირო — გნებავთ დიდმა და გნებავთ ყმაწვილმა, კარგად იცის ვინც ბრძანდება ეს მართლაც დიდი მოღვაწე. იგი იმ ადამიანებს შორისაა, რომელთაც მივიწყების მტვერი ვერ ეკარებათ და კიდევ ერთი, კომუნისტებს ჰქონდათ მოგონილი ასეთი ნათქვამი: ვამბობთ ლენინს და ვგულისხმობთ პარტიასო; ჩვენ კი ასე ვართ — ვამბობთ მენოტის და ვგულისხმობთ არგენტინას.

ახლა კიდევ ის გვიბრძანეთ, რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი... უფრო სწორად, რატომ იყო სესარ ლუის მენოტიმდელი არგენტინის ნაკრები არეულ-დარეული გუნდი? იმიტომ, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია კალეიდოსკოპური სიჩქარით ცვლიდა მწვრთნელებს, ხოლო ფეხბურთელებს ეროვნული გუნდი არაფრად მიაჩნდათ და გამოძახებაზე ყურსაც არ იბერტყავდნენ, სათამაშოდ ევროპაში გამომგზავრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

და როგორი გახდა პოსტმენოტისეული ნაკრები? ის ჩამოყალიბდა გუნდად, რომელსაც ფეხბურთელებთან მყარი, კონტრაქტებით მოწესრიგებული ურთიერთობა აქვს, რომლის გამოძახების ბარათიც ნებისმიერ არგენტინელ მოთამაშეს ქაღალდად მიაჩნია და, რაც მთავარზე მთავარია, ის გახდა უკლებლივ ყოველი მუნდიალის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი. ერთი სიტყვით, დღეს არგენტინის ნაკრების მწვრთნელად მიმავალმა კაცმა იცის, რომ დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე დიად და ძლიერ ნაკრებს უნდა უხელმძღვანელოს, მენოტიმდე კი, ასე არ იყო.

და კიდევ ერთი, სესარ ლუის მენოტის დროს არგენტინის ნაკრები ჯადოსნური სილამაზის ფეხბურთს თამაშობდა.

თუმცა, რატომ მხოლოდ არგენტინის ნაკრები? მართალია, ჩვენ მის კლუბთა უმეტესობის თამაში არ გვინახავს, მაგრამ რა უფლება გვაქვს არ ვენდოთ იმ ადამიანებს, ვინც მისი ამბები მოგონებებში თუ წერილებში აღწერა? ეს ხალხი კი წერს, რომ ლუის მენოტი მწვრთნელობის პირველივე დღიდან შემტევ ფეხბურთს ერთგულებდა და ეს ხშირად დიდ რისკთან იყო დაკავშირებული — მოგეხსენებათ, შემტევმა გუნდმა, თუ მისი თამაში ძლიერ დახვეწილი არ არის, ძალიან იოლად შეიძლება წააგოს დაცვაში ჩაკეტილ და კონტრშეტევაზე ჩასაფრებულ მეტოქესთან.

მაგრამ მენოტი ჯიუტად მუშაობდა მხოლოდ ერთი მიმართულებით და ამბობდა, რომ მისი სტილის განმსაზღვრელი ლოზუნგია „ყველა მოსაგებად თამაშობს". ის ამტკიცებდა, რომ თავისი ფეხბურთელების ნიჭს აუცილებლად მოართავდა და შეკრებდა საგოლე მომენტების მაქსიმალური რაოდენობის შესაქმნელად. მის სქემაში ყველაფერი გუნდურობაზე იყო დაფუძნებული, ოღონდ ნახევარდაცვასა და თავდასხმაში აუცილებლად ინდივიდუალურად ძლიერი, ტექნიკურად უზადო მოთამაშეები უნდა ჰყოლოდა. მენოტი მცველებს ისე განალაგებდა, რომ ბურთის მოპოვების შემთხვევაში უმოკლეს დროში ყველაფერი შეტევაზე გადაწყობილიყო, ოღონდ, ალბათ თავადაც იგრძენით, რომ ამ თეორიის მაღალ დონეზე ხორცშესასხმელად წლები იყო საჭირო.

ასე და ამგვარად, 1973 წელს სესარ ლუის მენოტიმ მწვრთნელობას მიჰყო ხელი და ორ წელიწადში საშუალო გაქანების „ურაკანს" პირველი და დღემდე ერთადერთი ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა.

ამასობაში, არგენტინის ნაკრები მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატზე ჩაფლავდა, რის გამოც გათავისუფლდა მწვრთნელის თანამდებობა, რომელიც ფეხბურთის ფედერაციამ მენოტის ანდო. დაგვეთანხმებით, ეს ნდობა მართლაც ბევრს ნიშნავდა, ვინაიდან ოთხი წლის შემდგომ მუნდიალს თავად არგენტინა მასპინძლობდა.

„ჩვენი წარმატებისთვის აუცილებელია ფეხბურთელებმა ძალიან მკაფიოდ გაიგონ, რას ვითხოვთ მათგან. თუ გეგმა ძალიან ზუსტად არ იქნება დასახული, ვერაფერს მოვიგებთ" — ამბობდა მაშინ მენოტი და კარგ მთქმელს, კარგი გამგონეები რომ ჰყოლოდა, ნაკრებში უბალდო ფილოლი, დანიელ პასარელა და მარიო კემპესი გამოიძახა.

და 1978 წელს არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა! როგორ? ვფიქრობთ, ამ ათასჯერ მოყოლილ და აღწერილ ამბავს ამჯერად სჯობს გვერდი ავუაროთ, ხოლო უკმაყოფილობის გრძნობა რომ არ დაგვრჩეს, ასეთი ამბავი მოგიყვეთ.

„ჩემპიონები რომ გავხდით და ზეიმი ... ხალხი ქალაქის ცენტრში, ობელისკისკენ გაეშურა, ბევრმა დღემდე არ იცის, რომ მეც იგივე გავაკეთე. ისეთი ტანსაცმელი ჩავიცვი და ისეთი ქუდი დავიხურე, რომ ვერავინ მიცნობდა. პიკაპის ძარაზე შევხტი. ამით ხალხისთვის მიცემულ დანაპირებს ვასრულებდი. მართალია, მე რომ მივედი გვიანი იყო და ბევრი იქიდან უკვე ბრუნდებოდა, მაგრამ რაც ვნახე, იმან დიდი სიამოვნება მომანიჭა" — ეს არც მეტი, არც ნაკლები, თავად მენოტის სიტყვებია.

ბოლოს კი 1979 წელი გავიხსენოთ, როდესაც იაპონიაში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ჩატარდა და გვირგვინი აქაც მენოტის ნაკრებმა დაიდგა.

„გუნდში თამაშისგან ასეთი სიამოვნება არასდროს მიმიღია. ეს ყველაფერი მხოლოდ მენოტის დამსახურება იყო" — ეს სიტყვები კი ცოცხალმა ლეგენდამ, დიეგო მარადონამ წარმოთქვა.

გაბრიელ კალდერონი, იმავე ნაკრების მოთამაშე: „ჩვენს სიჭაბუკეში მისი ხილვა და მასთან ფეხბურთზე საუბარი ერთ რამედ ღირდა. წარმოიდგინეთ, მან გვითხრა, რომ ამ გუნდის მწვრთნელობას მხოლოდ იმიტომ დათანხმდა, რომ ჩვენი ნიჭისა სწამდა. და იცით, მის თვისებათაგან საუკეთესო რომელი იყო? ცხოვრებაში არ მოვუტყუებივართ. პირიქით, მისი მეთოდი თითოეული ჩვენთაგანის დადებითი მხარეების წახალისება გახლდათ. მენოტის ხელში ფეხბურთელი რომ მოედანზე გადიოდა, აბსოლუტურად გარკვეული იყო, თუ რა უნდა გაეკეთებინა მას და სავსებით ენთუზიაზმით იყო აღვსილი".

**პაპუნა ძიძია**

...და ან ცაზე ვარსკვლავები

„გოლი სხვა არაფერია, თუ არა ბადეში გადაწოდებული მორიგი პასი" — უყვარს გამეორება ლუის მენოტის, რომელსაც ოდესღაც „ელ ფლაკოს" ანუ გამხდარს ეძახდნენ

# სესარ ლუის მენოტი



*დაიბადა 1938 წლის 5 ნოემბერს როსარიოში (არგენტინა)*

*თამაშობდა: „როსარიო სენტრალში", „რასინგში", „ბოკა ხუნიორსში", „ნიუ იორკ ჯენერალზში" (აშშ), „სანტოსში" (ბრაზილია), „იუვენტუსში" (ბრაზილია).*

*წვრთნიდა: „ურაკანს", „ბარსელონას" (ესპანეთი), „ბოკა ხუნიორსს", „ატლეტიკო მადრიდს" (ესპანეთი), „რივერ პლეიტს", „პენიაროლს" (ურუგვაი), „ინდიპენდიენტეს", „სამპდორიას" (იტალია), „როსარიო სენტრალს".*

*ნაკრებთაგან არგენტინისა და მექსიკის ეროვნულ გუნდებს.*

*1978 წელს არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.*

*1979 წელს არგენტინის ჭაბუკთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.*

*საკლუბო დონეზე მოპოვებული აქვს „ტორნეო მეტროპოლიტანი", ესპანეთის თასი, ესპანეთის ლიგის თასი, ესპანეთის სუპერთასი.*

# ბუენოს აირესში, ობელისკთან





## ეს საინტერესოა...

სესარ ლუის მენოტი მხოლოდ ფეხბურთელი და მწვრთნელი არ ყოფილა, ის სპორტული მწერალიც გახლდათ. მან გამოაქვეყნა წიგნი „თამაში, სპორტი და პროფესია", ხოლო მის ცალკეული სტატიები უცხოურ გამოცემებშიც კი იბეჭდებოდა.

* * *

მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის პირველ ჯგუფურ ეტაპზე მარიო კემპესმა გოლი ვერ გაიტანა. მეორე ეტაპის წინ კი მენოტიმ ტურნირის მომავალ ბომბარდირს ულვაშის გაპარსვა ურჩია, თავდამსხმელმაც გაიპარსა და არა მხოლოდ ბომბარდირი, საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. ჩემპიონატი

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 3 | ქრიუ-ბარნსლი | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |

ინგლისი. I ლიგა

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 13 | ჰარტლპული-ლუტონი | 2.25 | 3.2 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.5 |
| 22:45 | 14 | ტორკი-პიტერბორო | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 22:45 | 15 | კოლჩესტერი-ბორნმუთი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |

ინგლისი. II ლიგა

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 28 | უიკომბი-სკანთორპი | 2.5 | 3.2 | 2.45 | 1.4 | 1.23 | 1.38 |
| 22:45 | 29 | ნოტსი-ნორთჰემპტონი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |

16 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 30 | ბოსტონი-ლინკოლნი | 2.25 | 3.2 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.5 |

ინგლისი. კონფერენსი

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 43 | ლეი-ხეროგეიტი | 3.0 | 3.25 | 2.1 | 1.55 | 1.23 | 1.27 |
| 22:45 | 44 | ქროული-ტემუორთი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |

შოტლანდია. პრემიერლიგა

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 355 | მაზერველი-ჰიბერნიანი | 2.75 | 3.2 | 2.3 | 1.47 | 1.25 | 1.33 |

შოტლანდია. III დივიზიონი

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 356 | ისტ ფაიფი-ისტ სტირლინგი | 1.55 | 3.7 | 4.6 | 1.09 | 1.15 | 2.05 |

საფრანგეთი. I დივიზიონი

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 200 | სტ.ეტიენი-აიაჩო | 1.75 | 2.9 | 5.0 | 1.09 | 1.29 | 1.83 |

საფრანგეთი. II დივიზიონი

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 212 | დიჟონი-გენგამი | 2.1 | 2.7 | 3.6 | 1.18 | 1.32 | 1.54 |
| 22:15 | 213 | ტრუა-ნანსი | 2.2 | 2.7 | 3.3 | 1.21 | 1.32 | 1.48 |

უეფას თასი

16 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 319 | პარტიზანი-დნეპრი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 20:15 | 320 | შახტარი-შალკე | 2.4 | 3.1 | 2.85 | 1.35 | 1.3 | 1.48 |
| 21:00 | 321 | პანათინაიკოსი-სევილია | 2.2 | 3.1 | 3.0 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 22:00 | 322 | აიაქსი-ოსერი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 22:30 | 323 | პარმა-შტუტგარტი | 2.55 | 3.0 | 2.6 | 1.37 | 1.28 | 1.39 |
| 22:45 | 324 | ავსტრია-ბილბაო | 2.7 | 3.1 | 2.4 | 1.44 | 1.27 | 1.35 |
| 23:30 | 325 | ვალენსია-სტიაუა | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| 23:45 | 326 | სპორტინგი-ფეიენოორდი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |

17 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 327 | დინამო(კ)-ვილიარეალი | 2.2 | 3.1 | 3.1 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 21:00 | 328 | ცსკა-ბენფიკა | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 21:00 | 329 | ფენერბაჩე-სარაგოსა | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 22:30 | 330 | ბაზელი-ლილი | 2.4 | 3.1 | 2.7 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 22:30 | 331 | ალემანია-ალკმაარი | 3.0 | 3.2 | 2.2 | 1.54 | 1.26 | 1.3 |
| 20:30 | 332 | გრაცერი-მიდლსბრო | 2.9 | 3.2 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 22:45 | 333 | ჰერენვენი-ნიუკასლი | 3.0 | 3.2 | 2.2 | 1.54 | 1.26 | 1.3 |
| 22:45 | 334 | ოლიმპიაკოსი-სოშო | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |

შოტლანდია. თასი

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 341 | კლაიდი-როსი | 1.75 | 3.5 | 3.8 | 1.16 | 1.19 | 1.82 |

16 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 342 | კილმარნოკი-პართსი | 2.65 | 3.2 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |

იტალია. თასი

16 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 343 | ინტერი-ატალანტა | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |

ესპანეთი. თასი

16 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 344 | ატლეტიკო-ნუმანსია | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |

ლიბერტადორესის თასი

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 351 | ინდეპენდიენტე-ატლეტიკო პრ | 1.95 | 3.3 | 3.2 | 1.22 | 1.21 | 1.62 |

16 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 352 | ბოლივარი-სანტოსი | 2.65 | 3.2 | 2.3 | 1.44 | 1.23 | 1.33 |
| 23:45 | 353 | სპორტინგ კრისტალი-პაჩუკა | 2.45 | 3.1 | 2.5 | 1.36 | 1.23 | 1.38 |

17 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 354 | კარაკასი-ბანფილდი | 2.55 | 3.1 | 2.4 | 1.39 | 1.23 | 1.35 |

ინგლისი Vans Trophy

15 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 339 | როვერსი-საუთენდი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |


CROCO BOOKMAKERS

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელკრედიტი

TELCREDITI

10

42 00 24

+%


**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 340 | ოლდემი-რექსემი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |

**ჰოკეი. ფინეთი**
**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 415 | ესპოო-პელიკანსი | 1.4 | 4.5 | 4.0 | 1.06 | 1.03 | 2.11 |
| 19:30 | 416 | ტაპარა-ლუკო | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
| 19:30 | 417 | ესეტი-ჰელსინკი | 2.3 | 4.2 | 2.0 | 1.48 | 1.06 | 1.35 |
| 19:30 | 418 | სეიპა-კერპეტი | 2.85 | 4.2 | 1.7 | 1.69 | 1.06 | 1.21 |
| 19:30 | 419 | იოკერიტი-ტურკუ | 1.7 | 4.3 | 2.9 | 1.21 | 1.07 | 1.73 |
| 19:30 | 420 | ჰაამეენლინა-იუვესკიულე | 1.5 | 4.4 | 3.5 | 1.11 | 1.04 | 1.94 |

**ჰოკეი. ჩეხეთი**
**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 434 | სპარტა-პლზენი | 1.55 | 4.3 | 3.3 | 1.13 | 1.05 | 1.86 |
| 19:00 | 435 | ვსეტინი-ლიტვინოვი | 3.4 | 4.2 | 1.45 | 1.87 | 1.01 | 1.07 |
| 19:00 | 436 | ტრჟინეცი-ზლინი | 5.0 | 4.3 | 1.35 | 2.31 | 1.06 | 1.02 |
| 19:30 | 437 | კარლოვი ვარი-ვიტკოვიცე | 2.15 | 4.0 | 2.3 | 1.39 | 1.11 | 1.46 |
| 19:30 | 438 | კლადნო-ლიბერეცი | 2.0 | 4.0 | 2.4 | 1.33 | 1.09 | 1.5 |
| 19:30 | 439 | დუკლა-პარდუბიცე | 5.0 | 4.5 | 1.25 | 2.36 | 1.0 | 1.0 |
| 19:30 | 440 | ზნოიმო-სლავია | 2.2 | 4.1 | 2.15 | 1.43 | 1.08 | 1.41 |

**ჰოკეი. სლოვაკეთი**
**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 455 | ტრენჩინი-პოპრადი | 1.35 | 4.5 | 4.0 | 1.03 | 1.0 | 2.11 |
| 19:00 | 456 | მიკულაში-დუბნიცა | 1.25 | 4.5 | 5.0 | 1.0 | 1.0 | 2.36 |
| 19:00 | 457 | სკალიცა-კოშიცე | 3.5 | 4.4 | 1.45 | 1.94 | 1.02 | 1.09 |
| 19:00 | 458 | ზვოლენი-ნიტრა | 1.35 | 4.5 | 4.0 | 1.03 | 1.0 | 2.11 |
| 19:30 | 459 | სლოვანი-ჟილინა | 1.35 | 4.5 | 4.0 | 1.03 | 1.0 | 2.11 |

**ჰოკეი**
**გერმანია**
**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 470 | დიუსელდორფი-მანჰაიმი | 2.25 | 4.2 | 2.1 | 1.46 | 1.08 | 1.39 |
| 21:30 | 471 | ფრანკფურტი-კრეფელდი | 1.5 | 4.4 | 3.6 | 1.11 | 1.05 | 1.98 |
| 21:30 | 472 | ინგოლშტადი-იზერლონი | 1.45 | 4.5 | 3.8 | 1.09 | 1.04 | 2.06 |
| 21:30 | 473 | კასელი-ნიურნბერგი | 2.6 | 4.2 | 1.85 | 1.6 | 1.08 | 1.28 |
| 21:30 | 474 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2.2 | 4.2 | 2.1 | 1.44 | 1.07 | 1.39 |
| 21:30 | 475 | აუგსბურგი-ჰანოვერი | 1.7 | 4.3 | 2.8 | 1.21 | 1.05 | 1.69 |
| 21:30 | 476 | კიოლნი-აისბარენი | 1.95 | 4.2 | 2.4 | 1.33 | 1.07 | 1.52 |

**ჰოკეი. შვეიცარია**
**15 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 490 | ლუგანო-ლანგნაუ | 1.3 | 4.5 | 4.6 | 1.0 | 1.01 | 2.27 |
| 21:45 | 491 | ამბრი-სერვეტი | 1.8 | 4.3 | 2.4 | 1.26 | 1.02 | 1.54 |
| 21:45 | 492 | ბერნი-ციურიხი | 1.85 | 4.3 | 2.3 | 1.29 | 1.02 | 1.49 |
| 21:45 | 493 | ლოზანა-ფრიბურგი | 2.05 | 4.4 | 2.1 | 1.39 | 1.03 | 1.42 |
| 21:45 | 494 | ცუგი-კლოტენი | 1.95 | 4.4 | 2.3 | 1.35 | 1.05 | 1.51 |
| 21:45 | 495 | რაპერსვილი-დავოსი | 2.05 | 4.3 | 2.25 | 1.38 | 1.07 | 1.47 |

**ჰოკეი. რუსეთი**
**16 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 508 | აკ ბარსი-სპარტაკი | 1.15 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.0 | 2.88 |
| 13:00 | 509 | ცსკა-ლადა | 2.4 | 4.3 | 2.05 | 1.54 | 1.1 | 1.38 |
| 13:00 | 510 | ასკ-დინამო | 3.8 | 4.5 | 1.4 | 2.06 | 1.02 | 1.06 |
| 13:00 | 511 | სევერსტალი-მაგნიტოგორსკი | 2.35 | 4.4 | 2.1 | 1.53 | 1.1 | 1.42 |
| 13:00 | 512 | ნეფტეხიმიკი-ლოკომოტივი | 2.3 | 4.5 | 2.1 | 1.52 | 1.09 | 1.43 |
| 13:00 | 513 | მოლოტი-ს.იულაევი | 5.0 | 4.5 | 1.2 | 2.36 | 1.0 | 1.0 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | წერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | წმინდა ნინოს ქუჩა № 13 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | „ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა № 1 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №50 | |
| ოზურგეთი | გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

# ბოისას 35 ბომბი

## ჩვენიანები ოლიმპიას მწვერვალზე



„**გამარჯვების** მიუხედავად, ნირწამხდრები ვართ. ეს ჯგუფური ტურნირის პირველი მატჩი რომ ყოფილიყო, საქმე სხვანაირად იქნებოდა და ევებ მომდევნო ეტაპზე გავსულიყავით, ახლა კი ყველაფერი დასრულებულია. მიუხედავად ამისა, ცხოვრება გრძელდება და ჩვენც ადრიატიკის ლიგის მომავალ მატჩებზე ვფიქრობთ" — თქვა ლიუბლიანური „ოლიმპიას" ლიდერმა ვლადიმერ ბოისამ ევროლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში აეკ-თან გამარჯვების შემდეგ.

ცხოვრება მართლაც გრძელდება ბოისასთვის და მერე როგორ... ამ სიტყვების თქმიდან ორ დღეში ვოვამ ადრიატიკის ლიგაში 35 ქულა ჩაუგდო ხორვატიულ „სპლიტს" და „ოლიმპიას" პირადად გაამარჯვებინა.

დიახ, 35 ქულა. რაც „ოლიმპიაშია", ბოისას ამდენი არ ჩაუგდია. ეს იყო საუკეთესო მატჩი მის სლოვენიურ და ცვებ მთლიან კარიერაში. ორი თვის წინ ბოისამ ებრაულ „მაკაბის" 28 ქულა ჩაუგდო და მაშინ ვთქვით, ესაა კვლავ საუკეთესო მატჩით. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ ბოისა თავის საუკეთესო სეზონს ატარებს და დღესდღეობით ის ბებერ კონტინენტზე აღიარებული ვარსკვლავია.

„სპლიტთან" ვოვა მართლაც შეუდარებელი იყო. 35 ქულის შეგროვებას მან 30 წუთი დაახარჯა და ხორვატები უშანსოდ დატოვა. ბოისამ ბრწყინვალედ წარმოაჩინა თავისი სნაიპერული თვისებები და 8 ცდიდან 6 სამქულიანი ჩაადგდო. ამასთან, 10 საჯარიმოდან მხოლოდ ერთი აუცდა.

სასიამოვნოა ისიც, რომ ამ მატჩში თავი მანუჩარ მარკოიშვილმაც გამოიჩინა. „მანო" 14 წუთი ათამაშეს და მან 10 ქულის შეგროვება მოახერხა. ასე რომ, ჩვენიანებმა ხორვატები გვარიანად დაბომბეს.

ყაირათიანი კვირა ჰქონდა ვიქტორ სანიკიძესაც, რომელიც „დიჟონის" მწვრთნელმა 25-25 წუთი ათამაშა საფრანგეთის ჩემპიონატშიც და ფიბა-ევროლიგაზეც. სტატისტიკური მაჩვენებლებით თუ განვსჯით, „ვიკამ" შიდაჩემპიონატში უკეთ ითამაშა, თუმც იგი არანაკლებ სასარგებლო იყო ევროტურნირის მატჩშიც.

სანიკიძემ „ვიშისთან" 6 ქულა და 8 მოხსნა მოიხვეჭა. ანუ ის მეტოქის ფარქვეშეთს ხშირად სტუმრობდა. აი, ბელგიურ „პეპინსტერთან" კი მოედანზე თავის გემოზე ვერ გადაადგილდებოდა. მწვრთნელმა „ვიკას" მეტოქის არქიმექულის გაუვნებლება დაავალა და ქართველმა ჭაბუკმაც ფეხდაფეხ სდია მას. თამაშის შემდეგ მწვრთნელმა სანიკიძე შეაქო, „დიჟონი" კი ფიბა-ევროლიგის ჯგუფური ეტაპიდან გავიდა და ახლა პლეი ოფში რუსულ „ხიმკის" შეხვდება.

ფიბა-ევროლიგის პლეი ოფში გავიდა შემონდ უილიამსის „უნიკსიც" და ახლა პლეი ოფში უკრაინულ „ხიმიკს" ხვდება. ჯგუფის ბოლო მატჩში ყაზანელებმა ავსტრიული „ფერსპედი" გაანადგურეს, საქართველოს ნაკრების გამთამაშებლის ანგარიშზე კი 11 ქულა და 5-5 მოხსნა-პასი დაგროვდა.

ქულიანობას უკლო ლიტვაში მოთამაშე ტატო ვაშაკიძემ, რომელიც 20 ქულაზე ნაკლებს იშვიათად აგროვებს, იანვარში კი სულაც 42 მიითვალა ერთ-ერთ მატჩში. ვაშაკიძე ლიტვის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ „შაულიაის" საკუთრებაა და ქვედალიგელ „პასვალიოშია" განათხოვრებული, ეს გუნდი კი უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვის და ვაშაკიძისაც დიდად ეიმედება. „პასვალიომ" ამ ტურში სტუმრად იმარჯვა და ქართველმა გამთამაშებელმა 28 წუთში 10 ქულა ჩააგდო.

გამარჯვებების იშტაზეა ზაზა ფაჩულიას „მილუოკი". ამ სეზონში პირველად მოხდა, რომ „ხარირმებმა" კვირის ყველა შეხვედრა მოიგეს. მილუოკელებმა მიჯრით დაამარცხეს „ტორონტო", „ბოსტონი", „ატლანტა" და ამ წარმატებებში თავისი წვლილი ქართველ ცენტრალურ თავდამსხმელსაც მიუძღვის.

ყველაზე უკეთ ზაზამ ატლანტელებთან ითამაშა, 27 წუთში 11 ქულა, 8 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 3 დაფარება მიითვალა. ფაჩულიას თავის პირველი ორმაგი დუბლის შესრულება შეეძლო, მაგრამ თამაშის ბედი გარკვეული იყო და მწვრთნელმა მატჩის ბოლო ექვსი წუთი ღრმა სათადარიგო ცენტრ დანიელ სანტიაგოს ჩაამთავრებინა.

ასევე პირველად მოხდა, რომ კვირის არც ერთ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია ნიკა ცქიტიშვილს. „დენვერმა" სამიდან ორი შეხვედრა მოიგო, თუმც ქართველის დაუხმარებლად.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | ჩ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ევროლიგა<br>ადრიატიკის ლიგა | აეკ<br>სპლიტი | შ<br>ს | 70:66<br>97:85 | 30<br>30 | 7<br>35 | 8<br>5 | 0<br>0 | 0<br>0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ევროლიგა<br>ადრიატიკის ლიგა | აეკ<br>სპლიტი | შ<br>ს | 70:66<br>97:85 | არ უთამაშია<br>14 | <br>10 | <br>3 | <br>2 | <br>1 |
| ვიქტორ სანიკიძე | დიჟონი | PRO A. საფრანგეთი<br>ფიბა-ევროლიგა | ვიში<br>პეპინსტერი | შ<br>შ | 103:73<br>82:72 | 25<br>25 | 6<br>5 | 8<br>2 | 4<br>2 | 0<br>2 |
| შემონდ უილიამსი | უნიკსი | ფიბა-ევროლიგა | ფერსპედი | შ | 87:53 | 24 | 11 | 5 | 5 | 0 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრიატიკის ლიგა | პარტიზანი | ს | 73:88 | 12 | 4 | 2 | 1 | 0 |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | მეორე ლიგა (ლიტვა) | პერლასი | ს | 85:67 | 28 | 10 | 2 | 2 | 4 |
| გიორგი ცინცაძე | ურალ გრეიტი | სუპერლიგა (რუსეთი) | უნივერსიტეტი (სურგუტი) | ს | 97:84 | 5 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | დენვერი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | იუტა<br>მინესოტა<br>კლივლენდი | შ<br>ს<br>ს | 97:87<br>92:98<br>106:101 | არ უთამაშია<br>არ უთამაშია<br>არ უთამაშია | | | | |
| ზაზა ფაჩულია | მილუოკი | ნბა. რეგულარული ჩემპ. | ატლანტა<br>ბოსტონი<br>ტორონტო | შ<br>შ<br>ს | 113:83<br>121:97<br>110:107 | 27<br>12<br>17 | 11<br>8<br>4 | 8<br>3<br>5 | 1<br>1<br>0 | 3<br>2<br>0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

# მარილიანი კაცი წავიდა

## კარლ მელოუნმა ქუდი დაიხურა

**კარლ** მელოუნი კარგა ხანს ლაპარაკობდა კალათბურთიდან წასვლაზე, კიდევ უფრო დიდხანს ფიქრობდა, ბოლო სიტყვა კი გუშინწინ თქვა სოლტ ლეიკ სიტიში, ქალაქში, რომელშიც 18 წელი ცხოვრობდა და 18 სეზონი თამაშობდა.

„მართალია, ერთი წლის წინ წავედი „იუტა ჯაზიდან", მაგრამ მე აქ გავიზარდე, როგორც „ჯაზის" კაცი. მე ბედნიერი ვარ, რომ კალათბურთის დიდების დარბაზში „ჯაზის" კაცად შევალ."

აი, ასე, კოვბოის ქუდი დაიხურა და წავიდა...

კარლ მელოუნმა მთელი თავისი ჯანი და ახალგაზრდობა შესწირა ამ ერთი ბეწო და ამხელა ამერიკის სადღაც მთებში მივარდნილი ქალაქის გუნდს. 1985 წელს დრაფტზე „ჯაზმა" რომ აირჩია, 21 წლის და უსაზღვროდ ამბიციურმა ვეება ჯეელმა თავი გადასახლებულად ჩათვალა. მერე ისე მოეწონა დიდი მარილიანი ტბისპირეთი, ისე შეეზარდა სოლტ ლეიკ სიტის, იქიდან წასვლაზე სერიოზულად არც უფიქრია. მან და მისმა განუყრელმა მეგობარმა ჯონ სტოქტონმა „იუტა ჯაზი", მორმონთა შტატის მთავარი სპორტული სიამაყე, საშუალოებიდან ბობოლებში ალაზევეს და 1997 და 98 წლებში ზედიზედ გაიყვანეს ნბა-ს პლეი ოფის ფინალში. „იუტამ" იქ მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოსთან" წააგო და კარლ მელოუნს მთავარი ოცნება, ჩემპიონობა, ოცნებადვე დარჩა.

მელოუნი თავის განუყრელ სტოქტონთან ერთად 2003 წლის ზაფხულამდე თამაშობდა „იუტაში", შემდეგ კი უკვე 40 წელს მიკაკუნებულმა და სტოქტონის წასვლის შემდეგ ეულად დარჩენილმა ლეგენდამ სხვა გუნდის, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" დახმარებით სცადა ოცნების ახდენა და მას 2004 ოფის ფინალში გასვლაშიც დაეხმარა, მაგრამ კვლავ დამარცხდა საჩემპიონო სერიაში, ამჯერად „დეტროიტთან".

კარლ მელოუნმა რამდენიმე თვე იცადა, სხვა გუნდში თამაშზეც იფიქრა, მაგრამ გადაიფიქრა — 41 წლისა ვარ და ჩემი ამბავი მოთავებულია, ხოლო ბოლო სიტყვის სათქმელად, რაღა თქმა უნდა, სოლტ ლეიკ სიტისკენ გასწია.

1996-97 და 1998-99 წლების სეზონების უძვირფასესი მოთამაშე, 14-გზის ოლსტარელი, 1989 და 1993 წლების ოლ სტარების უძვირფასესი მოთამაშე (93-ში სტოქტონთან ერთად), 1992 და 1996 წლების ოლიმპიადების ჩემპიონი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ტიტულის მქონე კაცი, ყველაფერ ამას სიამოვნებით გაცვლიდა ერთ საჩემპიონო ბეჭედში და ალალიც იქნებოდა მასზე, მაგრამ რას იზამს, ისე დაბერდა, მოოქროვილ თასს ხელი ვერ შახო.

და კიდევ: კარლ მელოუნმა კარიერაში მოაგროვა 36 928 ქულა და 1 459 ქულით მიუახლოვდა რეკორდსმენ ქარიმ აბდულ ჯაბარს. ამ რეკორდის ხათრით იქნებ კიდევ ერთი წლით დარჩენილიყო, მაგრამ...

**კოტე ყორშია**



# NBA რეგულარული ჩემპიონატი

13 თებერვალი

**ნიუ ჯერსი 94:79 დენვერი**

ნიუ ჯერსი: კიდი (13), ვონი (10), კარტერი (23), კოლინზი (6), კრსტიჩი (9); მერსერი (12), ბესტი (10), ტომასი (6), სმიტი (4), პლანინიჩი (1), კემპბელი, ჰარვი

დენვერი: მილერი (5), ბოიკინსი (7), ენტონი (18), მარტინი (13), ნენე (6); ვაიტი (12), ელსონი (8), ბაკნერი (8), რასელი (2), ჯონსონი, ცქიტიშვილი (6 წუთი, 1 მოხსნა)

**მაიამი 96:92 სან ანტონიო**

მაიამი: ვეიდი (28), ონილი (27)

სან ანტონიო: ჯინობილი (24), პარკერი (22), დანკანი (20)

**ჰიუსტონი 81:80 პორტლენდი**

ჰიუსტონი: მინგი (23), მაკგრეიდი (18), ჰოვარდი (17 ქულა, 11 მოხსნა)

პორტლენდი: სტუდემაიერი (25), პრჟიბილა (14 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება)

**კლივლენდი 103:89 ლეიკერსი**

კლივლენდი: ილგაუსკასი (30 ქულა, 11 მოხსნა), ჯეიმსი (25 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა)

ლეიკერსი: ბრაიანტი (26), ოდომი (19)

**ბოსტონი 100:104 საკრამენტო**

ბოსტონი: ლაფრენცი (25), პირსი (22), ბლუნტი (16)

საკრამენტო: ბიბი (27), მილერი (20), მობლი (20), ევანსი (17), ვებერი (14 ქულა, 17 მოხსნა, 12 პასი)

**ორლანდო 97:94 ნიუ ორლეანი**

ორლანდო: ფრენსისი (22 ქულა, 10 მოხსნა), თურქოღლუ (22)

ნიუ ორლეანი: დიკაუ (28), სმიტი (20)

**სიეტლი 92:95 დალასი**

სიეტლი: ლუისი (18), რიდნორი (17)

დალასი: ნოვიცკი (31 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), ფინლი (23 ქულა, 11 მოხსნა), დამპიე (19 ქულა, 14 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 102:106 ფინიქსი**

ძირითადი დრო 94:94

გოლდენ სტეიტი: დანლივი (24 ქულა, 12 მოხსნა), ფიშერი (19), რიჩარდსონი (18 ქულა, 12 მოხსნა)

ფინიქსი: ჯონსონი (23), მარიონი (21 ქულა, 16 მოხსნა), რიჩარდსონი (21), ნეში (20 ქულა, 12 პასი)

**მინესოტა 83:87 ჩიკაგო**

მინესოტა: სპრიუელი (26), გარნეტი (23 ქულა, 14 მოხსნა)

ჩიკაგო: გორდონი (21), კარი (17), ჰაინრიხი (15)

**ტორონტო 109:106 კლიპერსი**

ტორონტო: ბოში (26 ქულა, 10 მოხსნა), ალსტონი (18), მარშალი (17)

კლიპერსი: ბრენდი (21 ქულა, 11 მოხსნა), საიმონსი (21), მეჯიტი (17)

**ნიუ იორკი 102:99 შარლოტი**

ნიუ იორკი: კროუფორდი (23), მარბერი (16)

შარლოტი: რობინსონი (18), ჰარტი (17)

**ინდიანა 76:73 მემფისი**

ინდიანა: ჯეკსონი (19)

მემფისი: რაიტი (18 ქულა, 13 მოხსნა), უოტსონი (16)

მსოფლიოს ჩემპიონატი. ბორმიო-სანტა კატერინა. 29 იანვარი-13 თებერვალი




REUTERS ფოტო

იანიცა კოსტელიჩი

# ოქრო თავისით მოვიდა

## ველოსიპედი მოთხილამურეებისთვის

ბორმიოში ამ კვირადღეს სამთო-სათხილამურო მსოფლიოს ჩემპიონატი სიახლით, გუნდური შეჯიბრით დამთავრდა, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად არცთუ სწორუპოვარი მოთხილამურეებით დაკომპლექტებულმა გერმანიის ნაკრებმა მოიგო. მანამდე კი პარასკევსა და შაბათს ქალებმაც და კაცებმაც ბოლო ტრადიციულ სახეობაში, სლალომში დალალეს მუხლები.




REUTERS ფოტო

ბენიამინ რაიხი

**27 წლის** ამერიკელი ბოდე მილერი იტალიაში ჩასვლის შემდეგაც და ჩასვლამდეც ჭეშმარიტად ამერიკული მიზანდასახულობით ამბობდა, ხუთივე დისციპლინა უნდა მოვიგოო (სლალომი, გიგანტური სლალომი, სუპერგიგანტი, სწრაფდაშვება და კომბინაცია) და ყოჩაღადაც დაიწყო — სუპერგიგანტში ჭიპმოჭრილ ავსტრიელებს აჯობა და რამდენიმე დღის შემდეგ მათვე ცხვირიდან აცალა სწრაფდაშვების ოქრო, მაგრამ ჩქაროსნულ სახეობებში აღებული ტემპი ტექნიკურ სლალომებში ველარ დააგდო და ოქროს ვინ დაეძებს, საერთოდ ვერ მივიდა ფინიშამდე. ასე იყო შაბათსაც — სლალომში ალამი გამოტოვა და ორი ოქროლა შერჩა.

სამაგიეროდ, ყველაზე ტექნიკურმა მთიელმა, ავსტრიელმა ბენიამინ რაიხმა სლალომიც მოიგო, ეს ოქრო კომბინაციის ოქროს და თითო ვერცხლ-ბრინჯაოს წაამატა და კაცთა პირად ჩათვლაში მილერი უკან მოიტოვა.

„ჩემი მიზანი ყველაფრის მოგება არ ყოფილა, კობინაციაში რომ ვიჩემპიონე, ამითაც ბედნიერი და აბსოლუტურად კმაყოფილი ვიყავი, ასე რომ, სლალომში ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ვისრიალე და მეორე ოქროც თავისით მოვიდა" — ნასრიალევს ამბობდა რაიხი.

ვერცხლიც ავსტრიელთა ყულაბაში ჩაწკარუნდა — რაინერ შონფელდერი ოქროსთანაც ახლოს იყო, ერთი პირობა კიდეც ლიდერობდა, მაგრამ რაიხმა მის დროს თითქმის მეოთხედი წამი ჩამოაჭრა და კვარცხლბეკის წვერზე თავად შედგა.

მასპინძელი იტალიელები ავსტრიელებივით მარჯვე მოთხილამურეებით ვერ დაიკვეხნიან, ამდენად ბორმიოში შეკრებილებმა ჯორჯო როკას ბრინჯაო ლამის ოქროდ ჩაუთვალეს და მისი მესამეობით ფრიად გაიხარეს.

ბორმიოდან თხილამურებით ნახევარი დღის სავალზე, სანტა კატერინაში კი ქალები ცდიდნენ საკუთარი მუხლებისა და თხილამურების სიმტკიცეს. აქაც ფავორიტმა იმარჯვა — ხორვატი იანიცა კოსტელიჩი, რომელიც სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია, ხორვატიაში ასევე სამი მსოფლიო ოქრო ჩაიტანა. კოსტელიჩმა თავიდანვე უარი თქვა სუპერგიგანტში და გიგანტურ სლალომში გამოსვლაზე და ეს სახეობები შვედ ანია პაერსონს დაუთმო. სლალომში პაერსონმა საერთოდ ვერ შეძლო ფინიშამდე მისვლა, კოსტელიჩმა კი „მშვიდად" მოიგო ის სამივე დისციპლინა, რომლებიც ოქრო თავიდანვე დაგეგმა.

ისე, ბოლო ოქრო ნამდვილად არ მოუპოვებია მართლა მშვიდად და უზრუნველად. სლალომის ფინელი ოსტატი ტანია პოუტიაინენიც აცხადებდა პირველობაზე პრეტენზიას და მშვენივრადაც ისრიალა, მაგრამ ისევე როგორც გიგანტურ სლალომში, აქაც ვერცხლი შეატოვა ხორვატმა.

„გიჟივით მოვქროდი — ყვება კოსტელიჩი ნასლალომევს — ბოლო ოციოდე ალამი როგორ გავიარე, აღარც მახსოვს. ფეხებში საერთოდ წართმეული მქონდა გრძნობა."

ხოლო ბრინჯაოს მედალი მოულოდნელად შეხვდა ჩეხ ყმაწვილქალ სარკა ზარჰობსკას, რომელიც სწორედ სრიალის დროს შესრულდა 20 წლის.

თითქოს ამდენი დისციპლინები არ ეყოფოდათ, სამთო თხილამურობის შეფებმა კიდევ ერთი მოიგონეს — გუნდური პირველობა და ბორმიოში მისი პრეზენტაცია მოაწყვეს. პრინციპი ასეთია: თითო ქვეყნის ექვსი მოთხილამურე (3-3 ქალ-ვაჟი) ორ დისციპლინაში — სლალომსა და სწრაფდაშვებაში ცდის ძალას და ოსტატობას. თითო დისციპლინაში ერთი გუნდიდან გამოდის ორ-ორი ვოგო-ბიჭი. ... ჩამოსრიალების დრო ... და გამარჯვებულიც ირკვევა.

ყველა ინდივიდუალური სახეობაში არსებობს გუნდური პირველობა და ჩვენ რაღა დავაშავეთ, ... მოთხილამურეებმა და ... რამ მოიგონეს. თუ გაამართლა, ... კარგი, არა და, გავაუქმებთ ... იქნებაო.

ფავორიტებად, ცხადია, ტრადიციული სამთო ქვეყნები — ავსტრია, აშშ, შვეიცარია და იტალია ითვლებოდნენ, რაკი მათ ბლომად მოეძევებათ ჩაუქი ვოგო-ბიჭები, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, ყველას აჯობეს შედარებით ... გერმანელებმა და ბორმიო-სანტა კატერინას პირველი და უკანასკნელი მედალიც აიღეს.

ავსტრიელები მეორენი იყვნენ, ამდენად ბენიამინ რაიხისთვის გუნდურში მიღებული ვერცხლი მეხუთე მედალი გამოდგა. ასევე ერთადერთი მედალი შეხვდათ ფრანგებს — მათ გუნდური ბრინჯაო ერგოთ.

**ფიფქია ზამთარაძე**

**11 თებერვალი. სლალომი. ქალები**

| | |
|---|---|
| 1 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 1წთ, 47.98წმ |
| 2 ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 1წთ, 48.16წმ |
| 3 სარკა ზარჰობსკა (ჩეხეთი) | 1წთ, 48.65წმ |

**12 თებერვალი. სლალომი. კაცები**

| | |
|---|---|
| 1 ბენიამინ რაიხი (ავსტრია) | 1წთ, 41.34წმ |
| 2 რაინერ შონფელდერი (ავსტრია) | 1წთ, 41.58წმ |
| 3 ჯორჯო როკა (იტალია) | 1წთ, 42.08წმ |

**მედლების დაფა**

| | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 3 | 4 | 4 | 11 |
| ხორვატია | 3 | 0 | 0 | 3 |
| აშშ | 2 | 1 | 3 | 6 |
| შვედეთი | 2 | 1 | 0 | 3 |
| გერმანია | 1 | 0 | 0 | 1 |
| იტალია | 0 | 2 | 2 | 4 |
| ფინეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| ნორვეგია | 0 | 1 | 0 | 1 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| საფრანგეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

ბობსლეი

# ბობი, ტორპი, პოპოვი და ზედაც კურნიკოვა

**რუსეთის** პრესა იუწყება, რომ ეს კვირა ჩვენი ქვეყნის ბობსლეის ისტორიაში ღირსახსოვარი მოვლენით აღინიშნაო. ჩვენი რუსი კოლეგები ამ ღირსსახსოვარ მოვლენაში შვეიცარიაში, სენტ მორიცის ტრასაზე მსოფლიოს თასის გათამაშებაში მათი ოთხადგილიანი ბობის გამარჯვებას გულისხმობენ. გამარჯვებულთა ეკიპაჟის წევრები იყვნენ: ალექსანდრ ზუბკოვი, სერგეი გოლუბევი, ალექსეი სელივერსტოვი და დმიტრი სტეპუშკინი.

ეს გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ გაისად ტურინში ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაიმართებაო, წერენ რუსები.

უფრო საინტერესო ამბად სულ სხვა რამ მიაჩნიათ, რაც ბობსლეის პირდაპირ თუ ირიბად დაუკავშირდა და მეტი ხალისით სწორედ ამაზე წერენ. ამბობენ, რომ ჩვენი







ოთხეული ამ გამარჯვებისთვის შთააგონა ცურვაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალექსანდრ პოპოვმა და ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამო.

თურმე ნუ იტყვით და, ორივეს თავზე ხელი აულია და ბობსლეის ყინულოვანი ტრასის ღარში დაშვებულა. ეს ამბავი სწორედ შვეიცარიაში სენტ-მორიცში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებისას მოხდა.

პოპოვი, სხვათა შორის, მასზე უფრო სახელგანთქმულ ავსტრალიელ მოცურავესთან, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონ იან ტორპთან ერთად ოთხადგილიანი ბობით დაეშვა, კურნიკოვა კი სამ ბობსლეისტს ანდეს, რომლებთანაც მან თავბრუდამხვევი სისწრაფე განახორციელა.

ფინიშის მერე ელიტარული ქრონიკის ერთ-ერთმა მთავარმა გმირმა თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა ჟურნალისტებს:

„რა თქმა უნდა, ძალიან შემეშინდა, მაგრამ მე მიყვარს დიდი სისწრაფეები. ასე რომ, დაშვებისას მე შიშისგან ვწიოდი და ვკიოდი. თუმცა დაშვება ძალიან მომეწონა. მე ბობსლეიში სერიოზულადაც კი ვივარჯიშებდი, მაგრამ ეს ჩემი მოწოდება არაა" — თქვა ანა კურნიკოვამ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# დინარამ ძმის რჩევა ისმინა



დინარა საფინა

### OPEN GAZ DE FRANCE

**პარიზი. აკრილი საპრიზო 585 ათასი $**

**ფინალი**

**დინარა საფინა (რუსეთი) — ამელი მორეზმო (2, საფრანგეთი) 6:4 2:6 6:3**

წლევანდელი ავსტრალიობისას მარატ საფინი მეორე წრიდან ოტებულ თავის უმცროს დაიკო დინარას შემოსწყრა, უკვე დროა, გაკადნიერებული თვისტომების დარად ცოტა შენც აზრზე მოხვიდეო. ჰოდა, არ გასულა სამი კვირაც და 18 წლის გოგონამ, ვისაც 2003 წლის პალერმოობის შემდეგ ერთი ქეციანი ტიტულიც ველარ მიეთვალა, აზრზე მოსვლის პირველი ნიშნები დაიტყო. თანაც რაოდენ სიმბოლურია, რომ ამის გაკეთება მან სწორედ იმის წინააღმდეგ შეძლო, ვისთანაც ავსტრალიობის მეორე წრეში დამარცხდა მელბურნში ძალიან ცხელოდა და მოძრაობა კი არა, დაფიქრებაც კი მიჭირდაო, იძახდა გუშინ გადატანილი 140-წუთიანი ფინალის შემდეგ დინარა და ამით იმის თქმა სურდა, აქ ყველაფერი სხვანაირად იყოო. და იყო კიდეც, რაკილა ამქრის მეოთხეადგილოსან ამელი მორეზმოს ის მართლაც ძალიან მობილიზებულად, აგრესიულად ეჩოგნავა და სეტის ჩაგდების მიუხედავად, მაინც გაუსაჩივრებლად იმარჯვა. ეს დინარას მესამე საკარიერო ტიტულია და ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ამქრის ვინგინდავინ ზეხუთეულელი მას აქამდე არასოდეს დაემარცხებინა. ჩანს, აწი მისგან კიდევ მეტსაც უნდა ველოდოთ.

### OPEN 13

**მარსელი. მაგარსაფარი. საპრიზო 469 ათასი €**

**ფინალი**

**იოახიმ იოჰანსონი (3, შვედეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (8, ხორვატია) 7:5 6:4**

ზორბა და უხვად მოეისე შვედი იოახიმ იოჰანსონი წლეულს უკვე მეორე ტიტულს შესწვდა და ჯამშიც უკვე სამი ტიტულს დაიკვეხს. მარსელში მან მიჯრით აჯობა ამქრის ოდინდელ პირველოსან ხუან კარლოს ფერეროს, ჟილ სიმონს, კაროლ ბეკს, ფელისიანო ლოპესსა და ფინალშიც იოლად გაუსწორდა ხორვატ ივან ლიუბიჩიჩს, თანაც ესენი ყველა ისე მოდრიკა, რომ თავისი მოწოდება ერთხელაც არ დაუთმია. შედეგად — ის კარიერაში პირველად ალზევდა რეიტინგსიის ზეათეულში და იქ მეცხრე ალაგას დამკვიდრდა.

### SAP OPEN

**სან ხოსე. მაგარსაფარი. საპრიზო 355 ათასი $**

**ფინალი**

**ენდი როდიკი (1, აშშ) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:0 6:4**

ტურნირის შარშანდელ გამარჯვებულ ენდი როდიკს გუშინ სულ რაღაც 50 წუთი დასჭირდა, რათა თავის პირველი საეიტიპიო ფინალში მოჩოგნავე სირილ სოლნიე შეემუსრა და წლის პირველი, ხოლო კარიერის მე-16 ტიტული მიეთვალა. 22 წლის ამერიკელი პირველია მარკ ფილიპუსისის (ანუ 1999-2000 წლების) შემდეგ, ვინაც ამ ტურნირზე მიჯრით ორჯერ იხეირა. სულ კი ენდიბოის რაგინდარა ტურნირზე მიჯრით ოთხჯერ უხეირია — სანხოსეობის გარდა ჰიუსტონში (2001-02), ქუინზობაზე (2003-04) და ინდიანაპოლისში (2003-04).

### ბუენოს აირესის ღია პირველობა

**თიხნარი საპრიზო 355 ათასი $**

**ფინალი**

**გასტონ გაუდიო (2, არგენტინა) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 6:4 6:4**

გასტონ გაუდიო კვლავაც განაგრძობს შთამბეჭდავ თიხნარობას. წინა კვირას მან ჩილეში, ვინადელმარობის ფინალში მოუგო ფერნანდო გონსალესს 6:3 6:4, ახლა კი უსახელო თვისტომ მარიანო პუერტას მოერია. თუკი შარშანდლიდან ავითვლით, ეს გაუდიოს მიერ ნათამაშებ 34 სათიხნარო მატჩში მოხვეჭილი 31-ე გამარჯვებაა. ალბათ გეხსომებათ, ამ წარმატებული სერიისას მან შარშან როლანგაროსობა მოიგო სამ ტურნირზე — ბასტადსა, შტუტგარტსა და კიცბიუელში — ფინალამდე გააღწია. ბუენოს აირესში კი შიდაარგენტინული ფინალი შორეული 1982 წლის მერე აღარ გამართულიყო — მაშინ ლეგენდარულმა გილერმო ვილასმა ალეხანდრო არენსაბალი დაიმორჩილა. სწორედ ვილასმავე გადასცა გუშინ გაუდიოს ჯილდო, რაიც ამ უკანასკნელის კარიერაში ჯამში მეხუთე საერთეულო ნადავლი გახლავთ.

# ზანგს მოუხსნია მარტინა

## ეძღვნება როლოს

**მსოფლიოს** ოდინდელი პირველმჩოგნე მარტინა ჰინგისი ამ ბოლო დროს თურმე „არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების ზორბა მცველ სოლ კემპბელს ხვდება.

ამის შესახებ 24 წლის შვეიცარიელმა ცუგრუმელამ თავადვე უთხრა „შვაიცერ ილუსტრიერტეს“: „სოლი ძალიან მომწონს. ერთმანეთს მაშინ ვხვდებით, როცა ამის შესაძლებლობას ჩვენი გადატვირთული განრიგები გვაძლევს. არის თუ არა ის ჩემი ახალი სიყვარული?! ამის თქმა ალბათ მაინც გადაჭარბება იქნებოდა.“



წყვილი ერთმანეთვის შვეიცარიელ ფეხბურთელ რამონ ვეგას გაუცვნია, რომელიც კემპბელთან ჯერ კიდევ „ტოტენჰემის“ მერე ძმაკაცობს. მას სოლი და მარტინა ერთმანეთვის გასულ ოქტომბერს, „ადიდასის“ რომელიღაც სარეკლამო ყეენობაზე წარუდგენია. ურთიერთსიმპატია მეყსეულად გაღვივებულა და ქალ-ვაჟი მას შემდეგ უკვე ვეგას დახმარების გარეშე ხვდებოდა.

სოლის გამო მარტინამ ურთიერთობა გაწყვიტა თავის აქამომდელ სატრფოსთან, შვეიცარიელ რესტავრატორ შტეფან ეგერთან, კემპბელი კი ბრიტანელ დიზაინერ კელი ჰოპენს დაცილებულა.

**ლევან ძელაურაძე**





გერი ბეტმენი

# O.K. ნუ იქნება ჰოკეი

**სეზონის** გადარჩენის მორიგი მცდელობაც კრახით დასრულდა. კვირას ლიგისა და მოთამაშეთა კავშირის მორიგმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მათ ვერ დაძლიეს ის განსხვავება, რომელსთაც მათივე თქმით ღრმა ფილოსოფიური საფუძველი აქვს. საქმეს ვერც სპეციალური შუამავლის მოწვევამ უშველა. აშშ-ს შუამდგომლობის და კონსულტაციის ფედერალური სამსახურის წარმომადგენელმა, ვინმე სკოტ ბირენბაუფმა, იოტისოდენადაც ვერ შეაცვლევინა მხარეებს აზრი, ასე რომ, ის მცირეოდენი იმედი, რომელიც კვირამდე რჩებოდა. გაცამტვერდა. ახლა, ისევ ისღა დაგვრჩენია, უწინდელივით ლიგის კომისიონერ გერი ბეტმენის იმ ოფიციალურ გამოსვლას დაველოდოთ, სადაც იგი გვამცნობს, რომ 2004-05 წლების სეზონი ჩაიშალა. ბეტმენს სხვა გზა მართლაც არ აქვს, სიტყვა უნდა შეასრულოს, ვინაიდან გადაჭრით თქვს ნათქვამი თუ კვირამდე კომპრომისს ვერ მივაღწევთ, თემას ამოწურულად ჩავთვლითო. როგორც კულუარებში ჩურჩულებენ, ამ სიტყვას ის სამშაბათს ან ოთხშაბათს იტყვის.

საინტერესოა, რომ ამჯერად ოპონენტები აღარ მალავდნენ გაღიზიანებას და ღიად აცხადებდნენ ყველაფერს, რასაც ფიქრობენ. მაგალითად, ბეტმენმა პირდაპირ თქვა, რომ ვერ გაიგო, რისთვის ჩატარდა ეს შეხვედრა, ხოლო მისმა მარჯვენა ხელმა, ნჰლ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ბილ დეილიმ დაამატა, ჩემთვის კი ნათელია, რომ პროფკავშირს არასოდეს არ ესმოდა მდგომარეობის სიმძიმე და სერიზულად არ იხილავდა ლიგის წინადადებებსო. ცხადია, ოპონენტთა კომენტარებიც ალალი იყო. მეტიც, როგორც ჩანს, ამიერიდან ყველას შეუძლია, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი ლოკაუტთან დაკავშირებით. არადა შეგახსენებთ, რომ მანამდე ლიგა მკაცრად აკონტროლებდა სიტუაციას და არაკორექტული კომენტარების გამო ორი კლუბის მფლობელი დაისაჯა კიდეც. ამრიგად, ყველაფერი გაირკვა და ილუზიები აღარ დარჩა. დღევანდელი გადასახედიდან ისიც ჩანს, რომ ბოლოთვის წვალება, რომელსაც ოფიციალურად მოლაპარაკება ერქვა, სრულიად უსარგებლო საქმე იყო, ვინაიდან მან ოდნავადაც ვერ დააახლოვა ოპონენტთა პოზიციები, ხოლო ჰოკეის მოყვარულები, რომელთაც ეს თავიდანვე უაზრობად მიაჩნდათ, მხოლოდ გააღიზიანა. იცით, რა აჩვენა კანადაში ჩატარებულმა ბოლო სოციალურმა გამოკითხვამ? რესპონდენტთა 40 პროცენტმა განაცხადა, რომ მათთვის სულ ერთია, დიდი ჰოკეი დაიწყება თუ არა, რადგან ისინი იუნიორებსაც სიამოვნებით უყურებენ. ახლა წარმოიდგინეთ, რა შედეგი ექნებოდა ამგვარ გამოკითხვას აშშ-ში. ასე რომ, ბიუროკრატიული დავით დაკავებულ მოხელეებს გადაავიწყდათ, რომ ამით ისინი მთავარ საგანძურს, ქომაგს დაკარგავენ.

სამაგიეროდ, გერი და ბობი ისტორიაში შევლენ, როგორც მოხელეები, რომელთა გამო ჩრდილოამერიკული სპორტის ისტორიაში პირველად გაუქმდა მთელი სეზონი... ისურვებდით მათ ადგილზე ყოფნას?

**სამველ ლარიბიანი**

# დისკვალიფიკაცია სექსის საზღაური

**შვედეთის** ჰოკეის ფედერაციამ დისკვალიფიკაციით დასაჯა ეროვნული ნაკრების სამი წევრი მას შემდეგ, რაც ამ სამი დღის წინათ ისინი 22 წლის ქალის გაუპატიურებაში ამხილეს.

კრისტიან ჰუსელიუსმა, ანდრეას ელიამ და ჰენრიკ ტალინდერმა განაცხადეს, რომ სასტუმროს ნომერში მათ მართლაც ჰქონდათ ურთიერთობა ქალთან, მაგრამ მათივე თქმით, ყველაფერი მისივე თანხმობით მოხდაო.

ამ ჰოკეისტებს აღარ უთამაშიათ შვედეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩეხეთის ნაკრების წინააღდეგ, გუშინ კი ისინი გუნდიდანაც გარიცხეს.

# ტოკიო იაპონელთა ქალაქია

## მარათონი ეროვნული რეკორდის გარეშე

**ტოკიოს** საერთაშორისო მარათონი მოიგო ტოშინარო ტაკაოკამ, რომელიც ფინიშამდე 24 კილომეტრით ადრე მოწყდა ლიდერთა ჯგუფს და ისე იყოჩაღა, რომ ბოლო 18 კილომეტრი სულ მარტომ ირბინა. ტაკაოკას დრო იყო 2:07:41. ეს გახლდათ მისი პირველი გამარჯვება მეხუთე ცდიდან.

აღსანიშნავია, რომ ტაკაოკას ეროვნული რეკორდის დამყარების იმედი ჰქონდა, მაგრამ ვერ შეძლო სამაგიეროდ, ეს გახლდათ მისი ზედიზედ მესამე მარათონი (2003 წელს ჩიკაგოსა და 2004 წელს ფუკუოკას შემდეგ), სადაც მან 2 საათსა და 8 წუთზე ნაკლებ დროში დასძლია დისტანცია.

დავძინოთ ისიც, რომ ტოშინარი ტაკაოკამ ამ შედეგით (იაპონიის მძლეოსნობის ფედერაციას დაწესებული მოთხოვნის შესაბამისად მას უნდა ერბინა 2:09:30-ზე მოკლე დროში) თავისი ქვეყნის მარათონელთა გუნდს ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაუბევა ადგილი.

ტაკაოკას შემდეგ, ოღონდ მთელი სამი წუთის დაგვიანებით, მეორე ადგილზე გავიდა ტანზანიელი ზებედაიო ბაიო.

ტოკიოს მარათონს დაემთხვა ღრუბლიანი ამინდი, 5 გრადუსი სითბო, ტენიანობა 40 პროცენტი და ქარი 0,9 მეტრი წამში.

**ტუტა სიხარულიძე**



| | | |
|---|---|---|
| 1. | ტოშინარი ტაკაოკა (იაპონია) | 2:07:41 |
| 2. | ზებედაიო ბაიო (ტანზანია) | 2:10:51 |
| 3. | ვლადიმირ ციამჩუკი (ბელარუსი) | 2:14:24 |
| 4. | ტადაიუკი ცუცუმი (იაპონია) | 2:14:37 |
| 5. | ანდრე რამოსი (ბრაზილია) | 2:15:37 |

## ფეხბურთი

### ინგლისი

პრემიერლიგა. XXVII ტური

არსენალი 5:1 კრისტალ პალასი

### იტალია

სერია B. XXVI ტური

ტრევიზო 1:1 ასკოლი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXI ტური.

კიოლნი 2:2 კარლსრუე

### მექსიკა

კლაუსურა. V ტური

სანტოსი 2:0 პუებლა

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80





# დიმიტრი ბურთდადებული

## იაშვილის ექვსი ჯარიმა და ინგლისელთა მწვრთნელის სიავე

მოგეხსენებათ, ექვსი ერის გათამაშების მეორე ტურში ყველაზე სასეირო ამბავი ლონდონთან, თვიქნემში მოხდა — საფრანგეთმა ინგლისს 18:17 მოუგო, მამლებს ქულები ექვსი საჯარიმოთი დიმიტრი იაშვილმა მოუპოვა. მნიშვნელოვანია ის, რომ პირველი ტაიმის ანგარიში იყო 17:6 მასპინძელთა ანუ ინგლისელების სასარგებლოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იაშვილმა შესვენების შემდეგ ყველაფერი ყირაზე დააყენა და თან არა ერთ ცალკეულ ეპიზოდში გაბრწყინების, არამედ მთელი შეხვედრის განმავლობაში კარგი თამაშის წყალობით

„ერთი კვირის წინ შოტლანდიასთან და დღეს ინგლისთან პირველ ტაიმში, შეიძლება ითქვას არ გვითამაშია, მაგრამ ახლა ძალიან ვამაყობთ, რომ ინგლისელებს თვით თვიქნემში მოვუგეთ, — განაცხადა მატჩის შემდეგ ფრანგთა გმირმა, — პირველ ტაიმში მხოლოდ და მხოლოდ თავს ვიცავდით შესვენებისას კი ვთქვით, რომ მეტოქის წნეხის ქვეშ მოქცევა იყო საჭირო და ნათქვამი დიდებულად შევასრულეთ".

იაშვილმა აღნიშნა, რომ მატჩის ბედი მისი ზუსტი დარტყმების გარდა ინგლისელებს, ჩარლი ჰოჯსონისა და ოლი ბარკლის ექვსმა უზუსტოდ შესრულებულმა ჯარიმამაც გადაწყვიტა.

„კარგად ვიცი, რას ნიშნავს ჯარიმის დარტყმა. ერთი-ორს თუ აცილებ მერე ძალიან გიჭირს, მაგრამ რაც მოხდა იმან ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი" — დასძინა მამალთა მხსნელმა.

ხოლო საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა ფაბიენ პელუმ დასძინა, რომ მის გუნდს საკუთარი ძალების რწმენა ერთი წამითაც არ შერყევია.

„შესვენებისას ნირწამხდარი არავინ იყო. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ 11 ქულით ჩამოვრჩებოდით მოწინააღმდეგეს, 11 ქულა კი ბევრი არ ჩანდა. დავსახეთ გეგმა, რომლის მიხედვითაც ბურთი ჩვენ უნდა მოგვეხელთებინა და ინგლისს ისე მივწოლოდით, რომ კალაპოტიდან ამოვარდნილიყო"...

მამლების მწვრთნელი, ბერნარ ლაპორტი კი მოთამაშეებისგან განსხვავებით ნაკლოვან მხარეებსაც აკვირდებოდა.

„ძალიან კარგად ვიცით, რომ ტიტულის შესანარჩუნებლად უკეთესად უნდა ვითამაშოთ. ლელო რომ ვერ გავიტანეთ, უკმაყოფილო ვარ, თუმცა გამარჯვებამ, ბუნებრივია, გამახარა" — ბრძანა მან.

ინგლისელების ბარაკში კი, ბუნებრივია, იმედგაცრუება და ბრაზი ბატონობდა.

„შედეგმაც გამაწბილა და ჩემმა თამაშმაც, — განაცხადა ზემოხსენებულმა ჰოჯსონმა, — ძალიან ძნელია ამ მარცხთან შეგუება, მაგრამ ხანდახან წაგება კიდევ უფრო გაძლიერებაში გიწყობს ხელს. ჯარიმების დარტყმისას რა დამემართა ვერ გეტყვით, ვარჯიშებზე ყველაფერი კარგად იყო..."

საკუთარი თავით უკმაყოფილო გახლდათ ოლი ბარკლიც.

„მიზანს რომ ავაცილებდი მაშინვე მივხვდი, როდესაც ბუცი ბურთს შევახე. ძალიან დამწყდა გული, მაგრამ თავს უნდა მოვერიო."

ხოლო ინგლისელთა მწვრთნელი, ენდი რობინსონი გვარიანად გაღიზიანებული ბრძანდებოდა, რაც მისი ნათქვამიდანაც ჩანს.

„ჩვენ მოედანზე გავედით და ძალიან კარგი რაგბი ვითამაშეთ, ფრანგებმა კი რა გააკეთეს? მათ ოთხმეტრიანი ხაზიდან ჯარიმები დაარტყეს და სულ ეს იყო. წავაგეთ თამაში, რომელიც უნდა მოგვეგო. საერთოდ, მოგებას და წაგებას შორის წვრილი ხაზია და სამწუხაროდ, კვირას ამ ხაზის ცუდ მხარეს აღმოვჩნდით".

**ტუტა სიხარულიძე**



# ძველი მეფორმულის სიკვდილი

*87 წლისა ქალაქ ნიმის ჰოსპიტალში გარდაიცვალა ფორმულის ძველი მრბოლი მორის ტრენტინიანი ბარე ნახევარი საუკუნის წინათ ტრენტინიანი დიდ პრიზებს იგებდა სულ ნაირგვარ გუნდებთან ერთად, „ფერარიდან“ „კუპერამდე“. მან 82 რბოლაში მიიღო მონაწილეობა. აქვე მოგახსენებთ, რომ განსვენებული განთქმული კინოვარსკვლავის, ჟან-ლუი ტრენტინიანის ბიძაა.*





# სამომავლო განზრახვა

*გაცდა ჰოკეის ეროვნული ლიგის სეზონი. „ვანკუვერ კენაკსის“ მწვრთნელი მაიკ კროუფორდი კი 40 ათას შაიბასთან ჩამომდგარა. შაიბებით დაუწერიათ „2010 წლის სული“, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალაქი ზამთრის ოლიმპიადას უმიზნებს და ჰოკეის კიდევ უფრო განვითარება სწადია.*




REUTERS




REUTERS

# გრემიზე

*ლოს ანჯელესის „სტეიპლს სენთერში“ 47-ე „გრემი“ გაიმართა. სტუმართა შორის სპორტის დიადნიც შეიმჩნეოდნენ: ევანდერ ჰოლიფილდი თავისი წყვილლილება პიჯაკით და ველო-ხელმწიფე ლენს არმსტრონგი თავის მომღერალ გელფრენდ შერი ქროუსთან ერთად.*




REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნაჭობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge